140
1983

ЗНАК ПОЧЕТА

ISSN 0132 — 5978

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პიონერი

12
1983







# ...და თქვენ

## ალმოჩნდებით საოცრებათა სამყაროში

კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძის რუკაზე კიდევ ერთი ახალი ობიექტი გაჩნდა — ზღაპრების კუთხე.

მხატვრებისა და მოქანდაკეების, მშენებლების უზადო გემოვნების, ფანტაზიის, გარჯისა და რუდუნების კვალი ატყვია აქაურობას. ვის არ ნახავთ ბავშვების საყვარელი ზღაპრების და მულტფილმების პერსონაჟებით დასახლებულ ამ ჯადოსნურ ქალაქში — წიქარასა და დევებს, ჩებურაშკას და გენას, წრუწუნას და ზღარბს, ექიმ აიბოლიტსა და მის პაციენტებს, სასაცილო ჯუჯებს და კუდიან დედაბერს, ბაჭიასა და მგელს, მუსიკოს სახედარს...

საოცრებათა ქალაქის საზეიმო გახსნის დღეს მისი სიმბოლური ჯადოსნური გასაღები მხიარულ და საზრიან ბურატინოს გადაეცა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქალაქის კარი ყოველთვის ფართოდ იქნება ღია ყველა ბავშვისათვის.

ეწვიეთ ჯადოსნურ ქალაქს და თქვენ ალმოჩნდებით საოცრებათა სამყაროში. თქვენ აქ სიხარული, გართობა, თქვენს საყვარელ გმირებთან შეხვედრა მოგელით.







მარშრუტზე.
„პიონერები — სამშობლოს"

# ნეტავი ბევრი ფიქრობდეს ასე!

თემურ ცაგარელი
ავტორის ფოტო



ნორჩმა მწველავებმა წელსაც ისახელეს თავი.

სულ ახლახან ლენტეხის რაიონის მშრომელებმა საუკუნეობრივი ოცნების აღსრულება იზეიმეს: ცაგერიდან ვიდრე ლენტეხამდე გაფენილი მშვენიერი ფართო, მოასფალტებული გზა მიიღეს საჩუქრად. სვანეთის მკვიდრთ ოდითგანვე აწუხებდათ უგზობა და მასთან დაკავშირებული უბედური შემთხვევები. ჰოდა, პარტიისა და მთავრობის ასეთ ზრუნვას რაიონის მშრომელებმა გაათკეცებული შრომით უპასუხეს.

დღეს, როცა მთელი ჩვენი რესპუბლიკა ძალ-ღონეს არ იშურებს სასურსათო პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის, ლენტეხის რაიონის მშრომელებსაც თავიანთი წვლილი შეაქვთ ამ საყოველთაო-სახალხო საქმეში. უფროსებს არც ბავშვები ჩამორჩნენ. ჯერ კიდევ შარშან, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, მთელი კლასი დარჩა სამუშაოდ ჩოლურის საბჭოთა მეურნეობის ფერმებში. რცხმელურის, ჩიხარეშის, ჟახუნდერის ფერმებში ბევრი ახალსკოლადამთავრებული უფროსებს ტოლს არ უდებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. მეურნეობის დირექტორი, მრავალი ორდენისა და მედლის კავალერი ბიძინა გვიდიანი ნორჩებს ხალისიანი და ნაყოფიერი შრომის ყველა პირობას უქმნის. ეს კარგად იციან იმათაც, ვისაც ჯერ სკოლა არ დაუმთავრებია და ვინც, უფროსი ამხანაგების მსგავსად, გადაწყვიტა სკოლის დამთავრების შემდეგ მშობლიური სოფლების მეურნეობებსა და ფერმებში დარჩეს სამუშაოდ, აქტიური მონაწილეობა მიიღოს სასურსათო პროგრამის წარმატებით განხორციელებაში.

ხელედის საშუალო სკოლის მოსწავლე კახა გაზდელიანი წელს გადავიდა მერვე კლასში. საზაფხულო არდადეგების პერიოდში იგი მთიბავებს გაჰყვა მთაში და ისე იმუშავა, რომ ბევრ გამოცდილ მთიბავს შეშურდებოდა — მარტო მან შვიდი ტონა თივა მოთიბა და ჩააბარა სახელმწიფოს. კახას არც მისი და, ზინა ჩამორჩა, ის თავის თანატოლებთან ერთად ფერმის მსხვილფეხა საქონელს უვლიდა, მზია გვიჭიანთან, ლალი ბენდელიანთან და სხვებთან ერთად დღეში ოც-ოცდახუთ ლიტრ რძეს წველიდა.

ლალი, ლიანა და ციალა ლიპარტელიანებმა შარშან დაამთავრეს სკოლა და მეღორეობის ფერმაში დარჩნენ სამუშაოდ. შრომისმოყვარე გოგონებს წელს მხარში ამოუდგა ქეთინო ბენდელიანი. მათზე გაპიროვნებული დედაღორები და გოჭები მუდამ სუფთანი და მაძღრები არიან. ფერმის გამგე აპოლონ გაზდელიანი მარჯვენას უქებს გოგონებს და ამბობს, მჯერა, საქმეს არ უღალატებენ და ნამატს შეინარჩუნებენო.

ხელედის საშუალო სკოლის უფროს პიონერხელმძღვანელ ანიკო გვიჭიანს სიამოვნების ღიმილი დასთამაშებს სახეზე.

— აბა, რომელი ერთი დაგისახელოთ? — ამბობს ის. — თიბვა გინდათ? ინებეთ ჰამლეტ გაზდელიანი, პაატა აფაქიძე. სენაჟის დამზადება? ინებეთ ლონდერ ჩანქსელიანი, ჯეირან ლიპარტელიანი... იზა და აზა ჩანქსელიანებმა, აზა გაზდელიანმა და სხვებმა თითო ტონა სენაჟი ჩააბარეს სახელმწიფოს.

— და განა მარტო ამათ გამოიჩინეს თავი! — საუბარში ჩაერია სკოლის დირექტორი ჯოკია ლიპარტელიანი. — ვალოდია დუბინინის სახელობის პიონერულ რაზმეულში გულზე ხელდაკრეფილს ვერავის ნახავთ. მეურნეობის ფერმებს თავიანთი საქონელი მუნიაშისა და ბაჯგეთის საძოვრებზე გაჰყავთ ზაფხულობით. მეშვიდეკლასელი ლევან გაზდელიანი მუნიაშში აძოვებდა მიბარებულ

გამოდის 1926 წლიდან
საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი
პიონერი
12 დეკემბერი 1983
საქ კპ ცკ-ის გამომცემლობა



მარტო
კახა
გაზდელიანმა
წელს
შვიდი
ტონა
თივა
მოთიბა
და
ჩააბარა
ფერმას.

მსხვილფეხა საქონელს, ხოლო ზვიად გაზდელიანი და პაატა აფაქიძე ბაჯგეთის იალაღებზე მწყემსავდნენ ხარებს. ღამეს კარვებში ათევდნენ და დილაადრიანად საქონელს საძოვარზე გაშლიდნენ ხოლმე. ასე გაატარეს მთელი ზაფხული და მეურნეობას უკლებლივ ჩააბარეს ნასვენი და ძალღონით სავსე ხარები. მერე კი, სიმინდის აღების დრო რომ დადგა, აქტიურად მონაწილეობდნენ სიმინდის ტეხვაშიც.

ცირა და რუბენ ბენდელიანებს შვიდი შვილი ჰყავთ: ნანული, მზია, ლელა, სოსო, ბესიკი, ნიკო და ცისმარი. სამწუხაროდ, მამა ბოლო ხანებში ხშირად ავადმყოფობს და ოჯახს ისე ველარ უვლის, როგორც ეს ჯან-ღონით სავსე ვაჟკაცს შეეფერება, მაგრამ ლელამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

— მერე რა, რომ მამა ავად არის, ჩვენ აქ არა ვართ?! — და, მართლაც, ვაჟკაცივით ამოუდგა დედას მხარში. მერე კი, საზაფხულო არდადეგების პერიოდში, მთიბავებს გაჰყვა მთაში და ბევრ ვაჟკაცს შეშურდებოდა ლელას მოქნეული ცელის შრიალი წელამდე აბიბინებულ ბალახში. მის მიერ მოთიბული ოთხი ტონა თივა გარკვეულ წვლილს შეიტანს საქონლის კარგად გამოზამთრებაში.

ხელედელი პიონერ-მოსწავლეების მხარდამხარ დაუღალავად შრომობდნენ ჩოლურის საშუალო სკოლის მოსწავლეებიც. მირზა გელოვანის სახელობის პიონერულ რაზმეულში სწავლაც უყვართ და შრომაც. უფროსი პიონერხელმძღვანელი სარა ლიპარტელიანი კმაყოფილია თავისი წორჩი ლენინელებით.

— ჩვენმა სკოლამ საზაფხულო არდადეგების პერიოდში ივალდებულა ოცდაათი ტონა თივა მოთიბოს და თხუთმეტი ტონა სენაჟი დაამზადოს, — თქვა რაზმეულის საბჭოს თავმჯ-

მთაში
ძნელია
საქონლის
გამოზამთრება.
ამიტომაც
თადარიგიანად
შეუდგნენ
თივის
დამზადებას.



დომარემ ნანა ზურაბიანმა. — ეს გეგმავალდებულება სკოლამ პირნათლად შეასრულა.

ჯერ კიდევ გაზაფხულზე შეესივნენ შრომისმოყვარე გოგო-ბიჭები მეურნეობის სახნავ-სათეს ფართობებს, შვიდი ჰექტარი მიწა ქვა-ღორღისაგან გაწმინდეს და სიმინდის დასათესად მოამზადეს; მერე კიდევ ხუთნახევარი ჰექტარი გათიბეს და თივა მეურნეობას ჩააბარეს.

ყოველთვის მხიარული ჟრიამული მიჰყვებოდა ხოლმე სათიბში პირველების — ხუთი და-ძმის — გოჩას, გივის, დარეჯანის, ფატიმას და ელგუჯას, აგრეთვე მათი ცხრა ბიძაშვილის გამოჩენას. ისინი რომ ცელს მოუსვამდნენ, ნეტავ მაგათ გამზრდელებსო, — სიამოვნებით იტყოდით. ელგუჯა პირველი მერვეკლასელი მოსწავლეა და უკვე მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, თავის უფროს მეგობრებს მიბაძოს — სკოლის დამთავრების შემდეგ მეურნეობაში დარჩეს სამუშაოდ. ამ ზაფხულს მან ხუთი ტონა თივა მოთიბა და ჩააბარა მეურნეობას. ფატიმა ელგუჯას უფროსი დაა. ნურავის ეგონება, გოგოა და ეგ რას მოთიბავსო. ფატიმამ თავისი სიტყვა თქვა და იმდენი თივა მოთიბა ბევრი თანატოლი ბიჭი უკან ჩამოიტოვა.

ნუგზარ და ემზარ ხაბულიანებმა მეურნეობის ოთხმოცი სული ხარი ჩაიბარეს და ორშაში გარეკეს საძოვარზე. მათ კარგად იციან, თუ რად ფასობს მთაში გამწევი ძალა და ამიტომ მუდამ მსუყე ბალახიან საძოვრებს ურჩევდნენ ხარებს.

ფრიდონ ხაბულიანი საკოლმეურნეო შრომის ნორჩი ენთუზიასტია. ამ ზაფხულს ის მამას გაჰყვა მთაში და ჭველფის ბაღებში თიბვაში შეეშველა. იმდენი ივაჟკაცა, რომ არათუ მარტო ოჯახის საჭიროებისათვის, მეურნეობისათვისაც ორი ტონა თივა და ერთი ტონა სენაჟი დაამზადა.

ნონა ხაბულიანის უფროსმა დამ, ნანამ, სკოლა რომ დაამთავრა, თავის მეგობრებთან ერთად მეურნეობას მიაშურა და მეძროხეობის ფერმაში დაიწყო მუშაობა. ამ ზაფხულს, როცა ძროხები მთაში გარეკეს, ლელას ჯანმრთელობამ უმტყუნა. მაგრამ იმდენად ავადმყოფობა არ აწუხებდა, რამდენადაც მასზე გაპიროვნებული ძროხების უპატრონობა. და აი, მეშვიდეკლასელმა ნონამ უთხრა დას: — შენ დარდი ნუ გაქვს, ვიდრე გამოჯანმრთელდებოდე, შენს ძროხებს მე მოვუვლიო, — და ძროხებს გაჰყვა მთაში.

ცამეტი მეწველი ძროხის მოვლა იოლი საქმე როდია, მაგრამ ნონამ კარგად გაართვა თავი საქმეს. იგი დღეში ოც-ოცდახუთ ლიტრ რძეს წველიდა და აბარებდა სახელმწიფოს. ისე მოეწონა მწველავის პროფესია, რომ გადაწყვიტა, უფროსი დის მსგავსად, სკოლის დამთავრების შემდეგ, ისიც ფერმაში დარჩეს სამუშაოდ.

მთელი ზაფხული ჩოლურელმა პიონერ-მოსწავლეებმა უფროსებთან ერთად შრომაში გაატარეს. ვინ მწყემსავდა, ვინ მკიდა, ვინ თოხნიდა და ვინ კიდევ რისხვად მოევლინა უპატრონოდ მიგდებულ შინაურ საქონელს. როგორ თუ რისხვადო, — გაუკვირდება ალბათ ბევრს. საქმე იმაშია, რომ სოფლის მეურნეობა წარმოუდგენელია მეველის გარეშე. მეველეს ევალება კოლმეურნეობის ან მეურნეობის ყანების, ზვრების, ბაღების, ბოსტნების დაცვა ბრაკონიერებისაგან, უპატრონოდ მიშვებული საქონლისაგან, რომლებიც სახალხო დოვლათს ანადგურებენ. მეველე უმეთვალყურეო საქონელს იჭერს და როცა პატრონი გამოჩნდება, საქონლის მიერ მიყენებული ზარალის მიხედვით აჯარიმებს მას. კაცის დაჯარიმება არცთუ სასიამოვნო მოვალეობაა, მაგრამ აბა წარმოიდგინეთ, რა დაემართება ბაღ-ვენახებსა და ყანებს, უმეთვალყურეო საქონელი რომ შეესიოს. ჰოდა, მურმან ზურაბიანსაც არ ესიამოვნა, როცა მეურნეობის სიმინდის ყანებში მეზობლის ღორები დაიჭირა... რას იზამ...

მურმანი თავის და-ძმებში შუათანაა, მადონა უფროსია, ერისტო — უმცროსი. სამივე და-ძმა მხარში უდგას დედას და ლოგინად ჩავარდნილ მამას დარდს უმსუბუქებენ. მურმანი საზაფხულო არდადეგების დროს დედას გაჰყვა არძიაში, ალპური ზონის სათიბში. მეურნეობისათვის ორნახევარი ტონა თივა და ერთი ტონა სენაჟი რომ დაამზადა, ახლა ტყეში წავიდა და ოჯახისათვის შეშა ჩამოზიდა. თანასოფლელები მარჯვენას უქებენ. მეშვიდეკლასელი ბიჭუნას მუყაითობა არც მეურნეობის დირექტორს, ბიძინა გვიდიანს დარჩა შეუმჩნეველი. — ვინ — ვინა და, შენი კი მჯერა, აუცილებლად დარჩები მეურნეობაში სამუშაოდო,— უთხრა მურმანს.

უკვე მეორე წელია, რაც მეურნეობის ფერმაში ნაყოფიერად მუშაობს ნონა შავრეშიანი. ამ ხნის განმავლობაში კარგად დაეუფლა მწველავის პროფესიას და გაპიროვნებულ ძროხებსაც კარგად უვლის. მისი უმცროსი და — მთვარისა — წელს გადავიდა მერვე კლასში და როცა ფერმაში მივიდა სამუშაოდ, ყველა გააოცა — თხუთმეტი ძროხის მოვლა და დღეში ორმოც ლიტრამდე რძის ჩამოწველა იკისრა, ეს კი იოლი საქმე როდია!

გრიგოლ მარგველიანმა 1981 წელს დაამთავრა სკოლა და სწავლის გასაგრძელებლად ლანჩხუთის პროფტექნიკურ სასწავლებელში წავიდა. წავიდა იმ მიზნით, რომ კვლავ სოფელში დაბრუნდეს. არდადეგების პერიოდში ის მუდამ თავის სოფელშია და მეურნეობის ფერმაში მუშაობს. ასე იყო წელსაც: ჩამოვიდა სოფელში და მეურნეობის ოთხმოცი სული ხარი ჩაიბარა სამწყემსავად. გრიგოლის უმცროს ძმას, ჯიმშერს, აბა, ამ დროს შინ რა გააჩერებდა, და ისიც ძმას გაჰყვა იალაღებზე. ჯიმშერი სოფლის მეურნეობის ნორჩი ენთუზიასტია, მან წელს შვიდი ტონა თივა მოთიბა და ორი ტონა სენაჟი დაამზადა მეურნეობის საქონლისათვის. ერთხელ, როცა საქონელი დააბინავეს, და-ძმები ვახშამს შეექცეოდნენ. გრიგოლმა ჯიმშერის მზერა დაიჭირა.

— რა იყო, ბიჭო, ეგრე რატომ მიყურებ? — ჰკითხა უმცროს ძმას.

— იცი რა, გრიგოლ, მეც შენსავით მინდა ვისწავლო და მერე ჩემს სოფელს გამოვადგე, — უთხრა ჯიმშერმა.

— ყოჩაღ! კარგია! — შეაქო უფროსმა ძმამ უმცროსი და მცირე დუმილის შემდეგ დასძინა: — ნეტავი ბევრი ფიქრობდეს ასე!..



# იუნგა, ძმაწვილი!

ნუგზარ აფხაზავა

მოთხრობა

მხატვარი ჯემალ ლოლუა

— გამარჯობათ თქვენი, ბოთეებო! — მხიარულად დაიროხროხა მიშა ძიამ. — ეს რა არის, რა განძი გიშოვნიათ, სად გიშოვნიათ, რისთვის გინდათ? ან იქნებ საიდუმლოა, ჰა, ბოთეებო?

ჟენია შეიშმუშნა: ერთ დღეში ორი ტყუილი, კაცმა რომ თქვას, მეტისმეტი გამოდიოდა.

ისევ პავლიკამ უშველა. იგივე ისტორია გაიმეორა, რომელიც მამამის უამბო, ოღონდ ახლა ის სნეული მარტოხელა მოხუცი ჟენიასი კი არა, მათი ძმაკაცის, ოთარ ალანიას პაპა იყო.

მიშა ძიამ სათითაოდ დაკვირვებით შეათვალიერა ბიჭები, სახე დაუსერიოზულდა.

— საწყალი! კი მაგრამ, საერთოდ არა ჰყავს არავინ?

— აი, ამ თითივით მარტოა, — სალოკი თითი აიშვირა პავლიკამ, მეორე ხელის გულით კი თვალში არარსებული ცრემლი შეიმშრალა.

თეთრგვარდიელებთან ბრძოლებში ნაწრთობი ნაჯარისკაცარი მართლა მაგრად წამოეგო ანკესს:

— მერე, მარტო შუშა რას ეყოფა?

— სურსათითაც ვეხმარებით ხანდახან, — გაბედა და ერთი ტყუილი იკისრა ჟენიამ.

მიშა ძიამ თავზე ხელი გადაუსვა ბიჭს. წამით იყუჩა.

— ბოთეები კი არა, კაცები ყოფილხართ, — თქვა ბოლოს. — გენაცვალეთ სულში! თუ რამეში დაგჭირდეთ, თქვენთან მიგულეთ, ერთი დამიძახეთ და ჭირს მოვჭამ ჩემს პოლკოვნიკს, ვიცი, არ გამაწბილებს, ჩემი „ემადინიანად“ მოვალ და, თუ გინდათ, მთელ დღეს გემსახურებით, ოღონდ თქვენ კაი საქმე აკეთეთ, ოღონდ წაღმა იარეთ, თქვე... თქვე ბოთეებო, თქვენა!..

„ამირანი“ ხიდის თავთან, მყუდრო ყურეში თვლემდა. კარგი ტივი გამოვიდა. მორები მაგარი, მსხვილი თოკით გადაებათ, ზოგიც ჭანგებით დაეკავშირებინათ ერთმანეთთან. ტივის ცენტრში მოწყობილი პატარა ოთხკუთხა გემბანი კაპიტნის ბოგურის მოვალეობას ასრულებდა. საჭის ღერძი უკვე თავის ადგილას იჯდა, ორთაყვირებიც ქიმების გასწვრივ ელაგა. ტივის ცხვირზე ერთ მეტრამდე სიმაღლის ჯოხი — ფლაგშტოკი — მიეჭედებინათ. ხვალ მის წვეროზე წითელ სამკუთხა ალამს მიამაგრებდნენ (უდროშო ხომალდი სად გაგონილა!). თანამდებობებიც განაწილებული გახლდათ: ჟენია ტოპრაკაშვილი კაპიტანი იყო, თემო გამილაღდიშვილი — მესაჭე, მარატ კაცნელსონი და ოთარ ალანია — მეხოფენი, პავლიკა ანანიანი — იუნგა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მესაჭეს ან მეორთაყვირეებს უნდა მიშველებოდა, ან, თუ ამას აუცილებლობა მოითხოვდა, შეეცვალა კიდეც ისინი.

„სახომალდო ჟურნალში“ პირველი ჩანაწერი ტივის მშენებლობის დაწყების წუთიდან გაჩნდა, ბოლოში კი შავით თეთრზე ეწერა, რომ ნავსადგურ „სატიოდან“ „ამირანის“ გასვლა დანიშნული იყო 1940 წლის 19 აგვისტოს, დილის 9 საათზე...

ცხრამეტ აგვისტოს დილით თემო პირველი გაჩნდა „ამირანთან“. ხორაგით სავსე კალათი ძლივს მოათრია, ტივზე ხვნეშით აიტანა და ბოგურაზე მიუჩინა ადგილი. მალე მარატი და ოთარი მოვიდნენ. იმათაც ბლომად წამოეღოთ საგზალი.

ბიჭებს თვალი ნაპირისაკენ ეჭირათ, მაგრამ ჟენია მაინც მოულოდნელად წაადგათ თავს. განუყრელი მეზღვაურული ზოლიანი მაისური ეცვა. კახური ქუდი ეხურა, ბეჭებზე ბრეზენტის კურტაკი ჰქონდა წამოსხმული.

მარტო არ იყო, ერთი ლამაზ-ლამაზი გოგო ახლდა.

— ბიჭებს გაუმარჯოს! გაიცანით, ეს ჩემი ბიძაშვილია, ეკატერინე კოზლოვა, დედაჩემისა და მიშა ძიას ძმისშვილი, — ჟენიამ ყველა სათითაოდ შეათვალიერა. — გუშინ ჩამოვიდა, როსტოვში ცხოვრობს, ათიოდე დღე ფოთში ყოფილა ბიცოლაჩემთან ერთად, ზღვაზე ისვენებდნენ. თვის ბოლომდე რჩებიან თბილისში. წუხელ თავი გადამჭამა, გინდა თუ არა, მეც თან წამიყვანეთო. მე ვუთხარი, ეკიპაჟს უნდა დავეკითხო-მეთქი... ჰოდა, რას იტყვით, ჰა?

გაგრძელება. იხ. „პიონერი“ № 11.

ეკატერინე კოზლოვა მიხვდა, რომ მისი ეკიპაჟში ჩარიცხვის ბედი წყდებოდა.

— ბიჭებო... — წყნარად, თითქმის ჩურჩულით თქვა. — ბიჭებო...

— წავიყვანოთ! — პირველად ოთარი გატყდა.

თემომ უკმაყოფილოდ შეხედა:

— რა უნდა გააკეთოს გოგომ „ამირანზე"? მოხმარების ნაცვლად, იქით გაგვიხდება საპატრონო!

— მეც თანახმა ვარ, წავიყვანოთ! — მოულოდნელად წამოიყვირა მარატმა. — გვყავდეს ერთი ქალი ხომალდზე, მერე რა მოხდა!

ჟენიამ ეკატერინეს გადახედა, მერე თემოს მიაბჯინა მზერა.

— შენ ეგა ერთი ვინმე ძუძუთა გოჭი არ გეგონოს, — უთხრა და ხმაში საყვედური გაურია. — იცი, რა მაგარი გოგოა? იმშთ-ს ფრიადოსანია, სროლაში სკოლის ჩემპიონია, ცურვაში მეორე თანრიგი აქვს. საიდუმლოს გაანდობ და — ბეტონივით ჩაიკირება.

— მზარეულობა თუ იცის? — რუსულად იკითხა თემომ და თვალები ეშმაკურად მოწკურა.

— აბა რა! — სახე გაუნათდა გოგონას. — კვერცხი, ერბო და ცეცხლი თუ იქნება, ტაფამწვრის გაკეთება ჩემზე იყოს, თუნდ ხელისგულზე შეგიწვავთ! — მოათვალიერა ეკიპაჟის წევრები და მზერა თემოზე შეაჩერა. — ა, ბიჭებო?..

თემომ ხელი გაუწოდა და მსუბუქად ჩამოახტუნა რიყეზე.

— კარგი, ბატონო, ასე იყოს, წაგიყვანთ. პავლიკა შენს ბედზე გახდა ავად.

ჟენიას გულზე მოეშვა:

— ოღონდ ერთი პირობით... — ისევ რუსულად თქვა თემომ. ყველამ ყური ცქვიტა. — რა ამბავია ეს ამსიგრძე „ეკატერინე"? სახელი უნდა შევუცვალოთ.

— ამაზე ადვილი რა არის, კატია იყოს, შინაურები კატიას ვეძახით, — მაშინვე მიაგება ჟენიამ.

— არ ივარგებს! მოდით, ეკა დავარქვათ.

— როგორ, როგორ? — მიაყურა კატიამ.

— ეკა-მეთქი. შემოკლებული ეკატერინეა. ჩვენში სულ ლამაზ გოგოებს ჰქვიათ ეკა.

ჟენია განცვიფრდა. ამდენი ხანია თემოს იცნობდა და ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ გოგოებთან ასეთი ლაპარაკი შეეძლო! უყურეთ ერთი, რა მოხდენილად უთხრა! აი, სხვებმაც თვალები დააჭყიტეს!

— ეკა! — გაიმეორა ეკატერინეყოფილმა. — ეკა! დახეთ, მართლა ლამაზად ჟღერს! ასე იყოს, დაე, ამიერიდან ეკა მერქვას! დიდი მადლობა, ნათლიაჩემო! სიცოცხლეში არ დავივიწყებ! — და თემოს მდაბლად დაუკრა თავი.

ყველას გაეცინა.

— აბა, ახლა კი საქმეს მივხედოთ! — ხმა გაიმკაცრა ჟენიამ. — წერილები დაუტოვეთ მშობლებს?

— აბა რა! როგორც შევთანხმდით! — იყო პასუხი.

— საგზალი გვაქვს?

საგზალი იყო.

— განწყობილება როგორია?

განწყობილებაც დიდებული ჰქონდათ.

— მაშინ... — ჟენია ეკას მიუბრუნდა. — იუნგა, გაეცანით ხომალდს და შეუდექით მოვალეობის შესრულებას! ყველამ თავის სამუშაო ადგილს მიხედოს! ათი წუთის შემდეგ „ამირანი" ტოვებს ნავსადგურს!

— ვაშაა! — ერთხმად შესძახა ეკიპაჟმა.

ყიჟინამ შორიახლო წყალში მოტივტივე თეთრი თოლიების გუნდი დააფრთხო. ფრინველები ფრთათა ტკაცუნით წამოიშალნენ და დინების საპირისპიროდ, დიღმისაკენ აიღეს გეზი.

6

ჟენია ამ დილით მეორედ განცვიფრდა, როცა თემომ რაკრაკა ხმით მეტიური წამოიწყო. „ნეტავი სულ იმღერებდეს, არ გაჩუმდებოდესო",—გაიფიქრა. ეკა-ეკატერინეც მონუსხულივით უსმენდა მისთვის უცნობ ეგზოტიკურ მელოდიას. მდინარისპირა სახლების აივნებზე დიასახლისები და გოგო-ბიჭები გადმოდგნენ, ხელს უქნევდნენ და ღიმილით მიაცილებდნენ თხელ ნისლში ნება-ნება მილივლივე ტივს.

მტკვარი დინჯად და მდოვრედ მიედინებოდა, მხოლოდ ალაგ-ალაგ, ჭორომებში ან ტირიფებით მოჩრდილულ მკვეთრ მოსახვევებში თუ აჩქარდებოდა ოდნავ. ტივს თითქმის არ სჭირდებოდა მართვა, მარატი და ოთარი ათასში ერთხელ თუ მოუსვამდნენ ორთაყვირს, თემო კი ისე ოსტატურად უმარჯვებდა საჭეს, თითქოს ჭიპი ტივზე მოუჭრიათო.

— იუნგა! სუფთაა ჰორიზონტი?! — საკმაოზე ხმამაღლა შესძახა ჟენიამ, თუმცა ეკა მისგან ორ ნაბიჯში იდგა.

— სუფთა გახლავთ, კაპიტანო! — შუბლმოჩრდილვით სივრცეს გახედა და მაშინვე უპასუხა ეკამ.

— მესაჭევ, ყველაფერი რიგზეა?!

— სწორედ ასეა, კაპიტანო! — არც თემომ დაუყოვნა პასუხი.

— აგრე გეჭიროთ!..

ნისლი ნელ-ნელა თხელდებოდა. მხარმარჯვენივ ხეთა ტოტებს შორის დროდადრო გაიკიაფებდა ახალაგებული ცირკის სახურავის წვეტი და წითელი ვარსკვლავი.

იმ რიყეს ჩაუარეს, სადაც ამას წინათ დაბნეულმა მებორნემ ბორნის შეჩერება მოახერხა.

— აი, ეს პატარა მდინარე ვერეა, — აუხსნა ეკას ჟენიამ, როცა მტკვრის მარჯვენა შენაკადს გაუსწორდნენ. — ამ ხევს კი ვარაზისხევი ჰქვია. გახედე, ის მაღალი შენობა სულ ახლახან მოათავეს, თბილისში ყველაზე მაღალი სახლია, თერთმეტსართულიანი. ცოტა იქით კი ზოოპარკია, აგერ, შესასვლელიც ჩანს.

— ეგრე, ჟენია, გაანათლე სტუმარი! — ამოსძახა თემომ.

— ხმა, კრინტი! — თავი მიაბრუნა შუბლშეკრულმა კაპიტანმა. — ვახტზე დგომისას ლაპარაკი აკრძალულია!

— არის, კაპიტანო!

ეკამ ხმადაბლა ჩაიკისკისა.

გაბაანთხევის შესართავიდან კარგად ჩანდა ლურჯი

მონასტერი, ხოლო შორს, მამადავითის თავზე — ფუნიკულორის ზედა სადგური.

— თქვენს ფუნიკულორზე მიშა ძიამ ამიყვანა, — ეკამ გულზე ხელი დაიდო და თვალები მზისკენ აღაპყრო. — ღმერთო, რა ლამაზია იქიდან თბილისი!

არტილერისტების ხევთან მტკვარმა მარცხნივ მიუხვია და მაშინვე წინ ქვის ერთმალიანი ლამაზი ხიდი გამოჩნდა. მხარმარცხნივ ორ-სამსართულიანი სახლები თითქოს შიგ მდინარეში აპირებდნენ შემოსვლას. აქა-იქ მოაჯირზე გადმოყუდებულ ბიჭებს პირდაპირ აივნიდან ჩამოეშვათ წყალში ანკესები. ეკასათვის ეს სანახაობა იმდენად უცხო და მოულოდნელი იყო, რომ გაკვირვებისაგან პირიც კი დააღო, ხოლო როდესაც ერთმა იღბლიანმა მეთევზემ წყლიდან ლამის მკლავის სიგრძე თევზი ამოაგდო, ტაში შემოჰკრა და ადგილზე აცეკვდა, ოთარსა და მარატს კი ორთაყვირები კინაღამ ხელიდან გაუცვივდათ.

— საქმეს მიხედეთ! წინ იყურეთ! — მკაცრად შეახსენა კაპიტანმა. — იუნგა! წესიერად მოიქეცით!

— არის, კაპიტანო!..

ნისლი თითქმის მთლიანად გადნა.

— აი, ის რკინის ხიდი მუხრანის ხიდია, — ხელი გაიშვირა წინ ჟენიამ. — მუხრანის ხიდის მიდამოებიდან ძველი თბილისი იწყება. აი, იქ, მარცხნივ, დაბლობში რომ გაშლილა, რიყეა, იმის ზემოთ კი კალიაევის ალმართია. ხედავ? ტრამვაი მიცოცავს ზედ. ეგ ალმართი ახლა რა არის, შენ ზამთარში უნდა ნახო, იცი, რა ლამაზია? მაღლიდან რომ თავზე კლდე გადმომხობია, იმას მტირალას ეძახიან. ზაფხულში წვეთ-წვეთად ცრემლებივით ჩამოსდის წყალი, ზამთარში კი ის წვეთები ნელნელა იყინება და უზარმაზარ ლოლუებად იქცევა ხოლმე. საოცარი სანახაობაა.

— გაქვავებული ჩანჩქერი გეგონება, — ისევ შეაწია თემომ. — დახატულიაო, იფიქრებ.

— ის რა ეკლესიაა? — ხიდქვეშ გაცურეს თუ არა, მარჯვნივ გაიშვირა ხელი ეკამ. — გუმბათი რატომ არა აქვს?

— ჰოო, ეს ანჩისხატის ბაზილიკაა, ბაზილიკა კი უგუმბათო ტაძარია. იცი? — მეექვსე საუკუნეშია აგებული!

— კარგი ერთი! ათას ოთხასი წლის წინათ?

— აბა რა! აი, ბიჭებს ჰკითხე, თუ არა გჯერა. იმის იქით კიდევ დიდი ეკლესია რომ მოჩანს, ის სიონია, ისიც მეექვსე-მეშვიდე საუკუნეში ააშენეს.

— ღმერთო, რა კარგად იცნობთ თქვენს ქალაქს! — თითქოს შეშურდაო ეკა-ეკატერინეს.

— ჩვენ ერთი ნინო მასწავლებელი გვყავს, — თავი მოაბრუნა ოთარმა, რომელსაც აქამდე მკაცრი კაპიტნის ში-



შით ხმა არ ამოუღია. – იცი, რა მცოდნე ქალია? რაც უნდა ჰკითხო, ყველაფერზე მაშინვე გიპასუხებს. იმას დავატარა ფეხით მთელი ქალაქი და საკუთარი ხუთი თითივით შევასწავლა.

– ერთ ეპიზოდს გიამბობ ჩვენი ისტორიიდან, -- ჟენიამ სიონისაკენ გაიშვირა ხელი. – ეს თბილისის უდიდესი ტაძარია, ძველთაგანვე მეთაური ეკლესია ყოფილა. მეცამეტე საუკუნეში ჩვენი ქალაქი ხვარაზმის მბრძანებელს ჯალალ-ედ-დინს აუღია. მისი განკარგულებით სიონის გუმბათამდე ხის კიბე აღუმართავთ, ეკლესიისთვის გუმბათი მოურღვევიათ და ზედ ტახტი დაუდგამთ. ის სისხლისმსმელი ჯალალ-ედ-დინი იმ ტახტზე მჯდარა და თურმე კმაყოფილი ღიმილით უყურებდა, როგორ ჰყრიდნენ წყალში ყველა მოქალაქეს, დიდს თუ პატარას, ვინც სიონიდან გამოტანილი ქრისტიანული ხატების შეურაცხყოფა და სარწმუნოების შეცვლა არ ისურვა. მტკვარი ისე ადიდებულა, ნაპირებიდან გადმოსულა თურმე.

– საზიზღარი! – ზღვისფერი თვალები დაებინდა ეკაეკატერინეს.

კლდისუბნის თავზე მთის ფერდობს მიჰკროდა ორი ბეთლემის ეკლესია. სადღაც აქვე, ცოტა ქვემოთ, იდგა ათეშგა – ქართველთა წარმართობისდროინდელი სალოცავი, – მაგრამ აქედან არ ჩანდა, ნაპირზე ჩამწკრივებული სახლები ეფარებოდა.

– მაინც ვცოცხლობთ, – ალბათ თავისთვის, ძლივსგასაგონად ჩაილაპარაკა ჟენიამ.

– რა თქვი? – მიუბრუნდა ეკა.

– ვცოცხლობთ-მეთქი!

– ვინ?

– ჩვენ, ქართველები...

ნელა მიუახლოვდნენ დიდებულ მეტეხს, თვალშეუდგამი სიმაღლიდან რომ გადმოჰყურებდა მტკვარს. მშვენიერი სანახავი იყო მდინარის ყველაზე ვიწრო ადგილას აგებული, შედარებით მოკლე, მაგრამ რაღაცნაირად შთამბეჭდავი, თითქმის გრანდიოზული მეტეხის ხიდი. მარჯვნივ ციდან სოლოლაკისა და თაბორის მთების კალთები ეშვებოდა ზედ შეფენილი აივნიანი და ბანიანი სახლებით, ეკლესია-სამრეკლოებითა და ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული ქუჩაბანდებით. ერთმანეთის გვერდიგვერდ, თავთავიანთი ცხოვრებით ცხოვრობდნენ აქ ქართული მართლმადიდებლური და სომხური გრიგორიანული ეკლესიები, ებრაული სინაგოგა და მუსულმანური მეჩეთი, ცხოვრობდნენ და ერთმანეთს არაფერში უშლიდნენ ხელს – ასე სტუმართმოყვარე იყო ოდითგანვე ქართული მიწა. მარცხნიდან კლდის წვერზე ამაყად წამომდგარი მეტეხის ტაძარი და მთელი ისანი თავისი, თითქოსდა პირდაპირ ტინიდან ამოზიდული აივნიანი სახლებით ზევიდან გადმოჰყურებდა ბებერი თბილისის ოდინდელ ცენტრს – სეიდაბადსა და კალას. წავკისის ხევსა და აბანოსუბანში ჯერ კიდევ იწვა გოგირდის აბანოების ორთქლსა და უამრავი გახურებული მაყალიდან ადენილ ცისფერ კვამლს შერეული თხელი ნისლი. ჟენია უეცრად ნაცნობმა, ადრევე უკვე განცდილმა გრძნობამ მოიცვა – ყელში რაღაც მოაწვა, შეაჟრჟოლა, გული კი მძლავრად აუძგერდა და საოცარი, ენით აუწერელი, სახელდაურქმეველი სითბოთი აევსო. ეკაც მოეჯადოებინა ძველი თბილისის განუმეორებელ სილამაზეს. თვალს ველარ აშორებდა მის თავზე გვირგვინივით დამდგარ, ათასჭარიშხალგამოვლილ ქუშ ნარიყალას, საქართველოს დედაქალაქის დედაციხეს. ეტყობა, თემო, ოთარი და მარატიც გააბრუა ამ სანახაობამ, რომლის ერთდროული და ყველაზე ეფექტური აღქმა, როგორც ჩანს, არა ერთი რომელიმე ნაპირიდან, არამედ სწორედ შუა მდინარეში მდოვრედ მიმცურავი ტივიდან თუ შეიძლებოდა – ბიჭებმა თავ-თავიანთი მოვალეობა დაივიწყეს, საჭესა და ორთაყვირებს ხელი შეუშვეს და, ჟენიასი და ეკასი არ იყოს, ისინიც ნისლიანი მზერით მიაცილებდნენ უკან გაცურებულ ზღაპრულ პეიზაჟს, რომელიც თვალს მხოლოდ ორთაჭალის ბაღების დასაწყისში მიეფარა.

„ამირანის" ეკიპაჟი მაშინღა მოეგო გონს, როცა მორიგ მოსახვევს იქით მეტეხიც მიიმალა, მტკვარი უცებ ორად გაიყო და უმართავი ტივი მარჯვენა ვიწრო ტოტში შესრიალდა. დინება კი აქ საკმაოზე სწრაფი იყო.

– ადგილებზე! მარდად! – მაშინვე გაისმა კაპიტნის ომახიანი შეძახილი.

მაგრამ უკვე არც კაპიტნის ბრძანებას, არც ეკიპაჟის მცდელობას აღარ შეეძლო მოახლოებული კატასტროფის არიდება: ტივი კუნძულსა და მარჯვენა ნაპირის ციცაბო ბექობს შორის მიექანებოდა და თანდათან უმატებდა სიჩქარეს. ჟენია თემოსთან მივარდა. ორივენი მთელი ძალით მიაწვნენ საჭის ჭოკს და ფრთა დინების პერპენდიკულარულად შეაბრუნეს, მაგრამ ჭოკმა ვერ გაუძლო დაწოლას და ჭახანით გადატყდა.

– ორთაყვირები – ფსკერზე! – შესძახა ჟენიამ და წამში ოთართან გაჩნდა, თემო კი მარატს ამოუდგა მხარში.

– იუნგა, ბარგს მიხედე, ცოცხლად!

ჩანს, ფსკერი აქ დაქანებული იყო და მარცხნიდან მარჯვნივ, კუნძულიდან ნაპირისაკენ, მკვეთრად ღრმავდებოდა. ამიტომ ჟენიასა და ოთარის ორთაყვირი მაშინვე წამოედო ქვიშიან ფსკერს, თემო და მარატი კი ვერ ჩასწვდნენ და ამაოდ ღვრიდნენ სიმწრის ოფლს. ტივი სწრაფად შეტრიალდა, ბოლო მოიქნია და ვიდრე ბიჭები მიხვდებოდნენ, რა ხდებოდა, ას ოთხმოცი გრადუსით შებრუნდა და ახლა კიჩოთი დაუყვა დინებას.

– ბიჭებო, ნუ გეშინიათ, კუნძულს გავცდებით და ყველაფერი კარგად იქნება! – მხნედ შესძახა ჟენიამ. – მაგრად იდექით!

უცებ ეკამ შეჰკივლა და ხელი წინ გაიშვირა.

ორმოცდაათიოდე მეტრით ქვემოთ, სწორედ იქ, სადაც კუნძული თავდებოდა, წყალზე ვეება თხმელა გადმოწოლილიყო. ეტყობა, ამასწინანდელმა წყალდიდობამ გამოუთხარა ძირი.

„ამირანი" მზარდი სიჩქარით მიექანებოდა მისკენ. ჟენიამ ორიოდე წამში შეაფასა სიტუაცია: ტივი ან გაიჭედებოდა თხმელის ტოტებს შორის და ეკიპაჟს კატაპულტიდან გატყორცნილივით გადაისროდა ხის გადაღმა, ან კიდევ ქვეშ გაუძვრებოდა და მაშინ ხის ტანი პირწმინდად გადახვეტავდა ყველას ტივის ზედაპირიდან.



— წყალში! ყველანი წყალში! — გაისმა კაპიტნის ბრძანება. — კუნძულის მხარეს, ბიჭებო! იუნგა, რას ელოდები?! მარდად!

ეკამ პირველმა ისკუპა. მას მაშინვე მიჰყვნენ თემო და ოთარი. მარატი გაუბედავად შეჩერდა ტივის კიდესთან და ჟენიას გამოხედა. ბიჭს თვალები გაფართოებოდა, შიშისაგან კბილები უკაწკაწებდა.

— გადახტი, ნუ გეშინია, ბიჭო! აქეთ თავთხელია! ჩქარა, თორემ გვიან იქნება!

ეკა, თემო და ოთარი უკვე კუნძულზე გასულიყვნენ და ახლა ნაპირ-ნაპირ სირბილით მოსდევდნენ ტივს.

— მიდი, მარატ! აქა ვართ! — მოსძახოდა თემო.

ჟენია მიხვდა, რომ მარატი გადახტომას ვერ გაბედავდა, საწყალმა ხომ ცურვა არ იცოდა და ახლა მთლად გაეფუჭებინა შიშს. ბევრი აღარ უფიქრია, ორი ნახტომით მასთან გაჩნდა და მთელი ძალით დააჯახა მკერდი. მარატმა შეტრიალება მოასწრო, მაგრამ თავი ველარ შეიკავა, შებარბაცდა, გადაქანდა, ჟენიას მკლავს ჩაებღაუჭა, გადავარდა და ისიც გადაიყოლია.

როცა ჟენიამ და თემომ გასავათებული, კარგა ბლომად წყალნაყლაპი მარატი ნაპირზე აათრიეს, „ამირანს" უკვე შეეწყვიტა არსებობა. დაჯახება იმდენად ძლიერი გამოდგა, რომ თოკები დაწყდა, ტივი ღერა-ღერად დაიშალა და კუნძულს ქვემოთ ფართოდ გაშლილი მტკვარი ახლა ნებანება მიათამაშებდა ნაძვის მორებს ქვევით, მინგეჩაურისაკენ.

...აი, ამგვარად დამთავრდა ჟენია ტოპრაკაშვილის პირველი ნაოსნობა. მაგრამ, მადლობა ღმერთს, ჟენია ის ბიჭი როდი იყო, ვისაც გაუთვალისწინებელი მარცხი ფარ-ხმალს აყრევინებს ხოლმე.

7

პირველი სექტემბრის წყნარი, ლაჟვარდოვანი დილა იყო.

ჟენია და მისი მეგობრები სკოლაში მიიჩქაროდნენ.

— დაიწყება ახლა „აქეთ მოიხედე!" „გამილაღდიშვილო, მოისვენე!" „გაკვეთილი რატომ არ იცი?" „მშობელი მოიყვანე?!" აუ, რა კარგი იყო ზაფხული! — ამოიოხრა თემომ. — ელოდე ახლა, როდის გაიზლაზნება ეს ცხრა თვე, გაგიჟდება კაცი!

ჟენიამ გაიღიმა, თქმით კი არაფერი უთქვამს. თავად მუდამ უხაროდა სკოლაში წასვლა, განსაკუთრებით კი — პირველ სექტემბერს.

პასტერის ქუჩის კუთხეში ჟენიას თანაკლასელი რობერტ მირზოევი იდგა, მის გვერდით ერთი პირხმელი ბიჭი ეყუდა. იცნეს — მეზობელუბნელი იყო, სახელად ლადო ერქვა, გვარი კი არც ჟენიამ იცოდა და არც სხვებმა.

— მეზღვაურებს ვახლავარ! — რობერტმა თავისი განუყრელი ჭრელი კეპი მოიშვლიპა და ხაზგასმული თავაზით დახარა თავი. — ლადო-ჯან, — მიუბრუნდა ალაწოდას, — აი, ის ჯმუხი ბიჭი კოლუმბი გახლავს, მეორე, კაფანდარა — მაგელანია, ის ორნიც ნაღდი ზღვის მგლები არიან. მაგათ ამას წინათ მთელ დედამიწას შემოუარეს სატიოდან ორთაჭალამდე! მაშა, მაშა!

ლადომ შუბლი მოიჩრდილა.

— ვაა, მაშ ეგენი არიან, კაცო?! გაზეთებში ცოტა სხვანაირები ჩანან, ხო იცი?..

ჟენიამ ნაბიჯი შეანელა.

— წამო, წამო! — მკლავში ჩააფრინდა თემო. — ვიგვიანებთ. რობიკ! — გასძახა მირზოევს. — შენ მიდი, ცოტა ხანს გაერთე, კოჭობანა ითამაშე, ჩვენ ჯერ არა გვცალია. მერე შევხვდეთ როგორმე და მოვესიყვარულოთ ერთმანეთს. ეგეც თან წამოიყვანე. ისეთ სიმღერას გათქმევინებთ, იქნებ მაგელანი საფლავში გადატრიალდეს!...

ნატა მახვილაძემ კეკლუცად გადახარა თავი მარცხნივ და ბოშასავით შავი, ოდნავ ელამი თვალები (უხდებოდა ეს მცირედი სიელმე) გულუბრყვილოდ მიაპყრო ჟენიას:

— მართლა მინგეჩაურში აპირებდით ჩასვლას, კაპიტანო?

მეორე გაკვეთილი უცდებოდათ, ნინო მასწავლებელი ავად ყოფილიყო და პირველიც სხვამ ჩაუტარათ, ახლა კი ალბათ ვერ გამონახეს თავისუფალი მასწავლებელი.

ჟენიამ გამომცდელი მზერა შეავლო გოგონას. არა, ნამდვილად არ დასცინოდა, პირიქით, თითქოს აღტაცებულიც კი ჩანდა.

— შენ ვინ გითხრა?

— ჩიტმა მომიტანა ამბავი.

— მერე, ყველაფერი ბოლომდე ვერ გამოჰკითხე იმ ჩიტს? — ჟენიამ მარატისკენ გააპარა მზერა. მარატი ოთარის ზურგს ამოეფარა. — ვთქვათ, ვაპირებდით. მერე?

— მერე ის, რომ ნუთუ არ შეიძლებოდა, ჩემთვისაც მოგეწვდინათ ხმა? — ნატამ ტუჩები აიბზუა, გაიბუტა. — იქნებ ძალიან შორს ვცხოვრობ და მოსვლას ვერ მოასწრებდით? ან ხომ არ გგონია, სხვაზე ნაკლები ცურვა ვიცოდე? — ეს „სხვაზე" განსაკუთრებული ხაზგასმით თქვა, ეკა კოზლოვას თუ გულისხმობდა.

— ის სხვა ხომ ჩემი ბიძაშვილია, — გაეცინა ჟენიას.

— შენ ისა თქვი, მარატმა როგორ გაბედა ტივით მოგზაურობა, თუკი ცურვა არ იცოდა! — გაიკვირვა ნოდარ ციხისელმა. — კარგი და, ჟენიას ვერ გაებედნა მიშველება, ხომ წაიღებდა მტკვარი!

— დიდი რამე! — მოისმა უცებ აგდებით ნათქვამი. ხმა უცნობი იყო და ყველა იმ ხმისკენ შებრუნდა — რობიკა და ლადო წამოსდგომოდნენ თავს შეუმჩნევლად. — დიდი რამე! — გაიმეორა ლადომ. — იმ ადგილას წყალი, ჰა და ჰა, წელამდე თუ მოგწვდება კაცს, იხვი თუ დაისველებს ფეხებს.

ჟენია წამოდგა (აქამდე ნატას მერხის კიდეზე იჯდა).

— არაფერიც! — მკვეთრად მოსჭრა მარატმა და ნაბიჯი გადმოდგა. ოთარიც თან მოჰყვა. — იქ წყალი წელამდეა კი არა, ორ შენოდენა მუტრუკს გადაუვლის თავზე! შენ მე რას მასწავლი!



— მუტრუკს მოგცემ მე შენ! — გაიწია ალაწოდამ. ჟენია შუაში ჩადგა.

— ნატა, ეგ არ იყო, იმ დღეს ქუჩაში რომ გადაგვეღობა და მაიმუნობა დაგვიწყო? — ხმამაღლა, ყველას გასაგონად იკითხა ნელიმ. — ა, ნატა?

— ეგ იყო...

— წყნარად, თორემ დაგაძვრე კიკინები! — ახლა გოგონებისაკენ მიბრუნდა ლადო.

ჟენიამ იდაყვში ხელი სტაცა და შეაჩერა.

— მოისვენე! — მუქარით უთხრა, თუმცა სახეზე ღიმილი ეფინა. — მოდი, გუნებას ნუ წაგვიხდენ, წადი შენს მშობლიურ სკოლაში მშვიდობიანად. აქ, ამ ბავშვებში, რა დაგრჩენია? ჩვენ ჩვენთვის ვსაუბრობთ, შენ ჩვენს საქმეებში რას ერევი? გაქვს რამე საზიარო?

— ხელი გამიშვი! — იდაყვი გაიქნია ლადომ. — ხელიძეთქი, გესმის?!

ტოპრაკაანთ ბიჭს ნირი არ შესცვლია.

— შენ იცი, ეს ვინ არის? რობიკა გვერდით დაუდგა ჟენიას და რატომღაც ხმას დაუწია: — შენ ლადო ლომინაძე არ გაგიგონია? აი, ფეთიანს რომ ეძახიან...

— რა ჩემი საქმეა, რას ეძახიან! — ჟენიამ ლადოს ხელი გაუშვა და მზერა გაუსწორა. — მართლა ფეთიანი ხარ? — გაუღიმა. — მოდი, რა, ერთი გვაჩვენე, როგორი დაფეთება იცი!

ალაწოდას გაკვირვებისაგან ენა ჩაუვარდა: არ მოელოდა, რომ მის სახელსა და მეტსახელს ასე მშვიდად შეხვდებოდნენ, უფრო მეტიც — ეს ჯილასავით ჩაკირული ბიჭი აშკარად დასცინოდა კიდეც!

ვიდრე ლადო გონს მოვიდოდა, ისევ რობიკამ იმარჯვა:

— ლადო დღეიდან ჩვენს კლასში ივლის, იცი შენა? — ეს ჟენიას უთხრა, მერე კი სხვებსაც მოავლო მზერა. — ჰოდა, იცოდეთ, ფეთიანის სიტყვა ამიერიდან ამ კლასში კანონია!

წამით სიჩუმე ჩამოვარდა. კლასი მუნჯ სცენას დაემსგავსა, გოგონები მერხს დააცივდნენ.

უცებ ამ სიჩუმეში ფრუტუნი გაისმა — ოთარი იყო.

— კი მაგრამ, ჩვენ არაფერს გვეკითხები?

— ვისა? შენ? — რობიკამ კისერი წაიგრძელა, ხელი წინ გაიშვირა და ოთარს ცხვირწინ აუთამაშა თითები. — შენ უნდა დაგეკითხო, შე ლოტოს კოჭო, შენა?

— მარტო მაგას კი არა, მეც უნდა დამეკითხო! — წინ წამოდგა მარატი.

— მეც აქა ვარ! — მხარში ამოუდგა ნოდარ ციხისელი.

— ნურც მე დაგავიწყდებით! — ჩაახველა შალიკო პაპიძემ.

— გავიდეთ, ეზოში გავიაროთ, —



# ალიო მირცხულავა—80

მიმდინარე წელს შესრულდა გამოჩენილი ქართველი პოეტის, ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი ფუძემდებლის ალიო მირცხულავას დაბადების მეოთხმოცე წლისთავი.

ალიო მირცხულავას პოეტური მრწამსის ჩამოყალიბება საბჭოთა ეპოქის დასაწყისს დაემთხვა: პირველი ლექსი „სიმღერა" მან გამოაქვეყნა 1921 წელს, ხოლო 1923 წელს გამოიცა მისი პირველი ლექსთა კრებული „მერეხი". მას შემდეგ, თითქმის 50 წლის განმავლობაში, თავის კალამს, მთელ თავის ენერგიას პოეტი დაუღალავად ახმარდა მშობლიურ ხალხსა და ქვეყანას. ამავე დროს, იგი იყო ფართო დიაპაზონის საზოგადო მოღვაწე: წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნად, რედაქტორობდა ჟურნალებს „მნათობს", „დროშას", „პიონერს".

ალიო მირცხულავას პოეზია მდიდარი და მრავალფეროვანია მის ლექსებში აისახა ჩვენი სამშობლოს გმირული აწმყოს სხვადასხვა სურათები, ახალმშენებლობათა რიტმი, ახალი ადამიანის ოპტიმიზმი და პატრიოტიზმი, ინტერნაციონალური მეგობრობის დიადი ძალა, კომკავშირული თაობის უშრეტი ენერგია... მარტო ბავშვებისათვის პოეტს ასზე მეტი ნაწარმოები აქვს შექმნილი.

ქვემოთ გთავაზობთ ალიო მირცხულავას ორ ცნობილ ლექსს.

## წიგნი

სწავლის მძებნელო! ისწავლე წიგნი,
გიყვარდეს, როგორც დედა-მშობელი,
იგი წყაროა აზრის და სიბრძნის,
წყარო მარადის დაუშრობელი.
ცხოვრების გზაზე რომ არ დაეცე,
წიგნს და სიმართლეს დაენდე
მხოლოდ.
ბეჯითი მუდამ ცოდნას დაეძებს,
ზარმაცი ბრმაა, ინანებს ბოლოს...
იყო დევნა და... თავდასხმა მტერთა,
ხიშტით ებრძოდნენ წიგნთა
კრებულებს,
და ხალხის რჩეულ გმირებთან ერთად
წიგნებსაც სწვავდნენ, ვით
წამებულებს.
მებრძოლებს წიგნიც ახლდათ
ნიადაგ
და ხშირად მკერდი მით დაუფარავთ:
წიგნი შრომის დროს აგურია და
მტერთან ბრძოლის დროს არის
ყუმბარაც...
და შენც ამიტომ გიყვარდეს წიგნი,
გიყვარდეს, როგორც დედა-მშობელი,
იგი წყაროა აზრის და სიბრძნის,
წყარო მარადის დაუშრობელი.

## ჰე, ბიჭებო!

ჰე, ბიჭებო, დატრიალდით,
მეთაურო, სად წახველი?
ხედავ? — ყურძნის განთიადით
ავსებულა საწნახელი!
ანკარა და ალისფერი
აჩუხჩუხდეს ქვევრში ღვინო,
შემდეგ ლხენით და სიმღერით
დავსხდეთ, ტკბილად ვიღიღინოთ!
გავიმრავლოთ სიხარული,
არ გვედარდოს, არ გვეძნელოს,
სულით, გულით, სიყვარულით
ვთქვათ მამულის სადღეგრძელო!
თუ სამშობლოს მინდორ-ველად
გამოჩნდება ვინმე მტერი,
ჩვენც მზად ვიყოთ საბრძოლველად,
მტერს ვადინოთ ზურგზე მტვერი!

---

როგორც იქნა ხმის ამოღება მოახერხა ფეთიანმა: ჟენიას უყურებდა. — ორიოდე სიტყვას გეტყვი.

— ჩვენც წამოვალთ! — მტკიცედ განაცხადა ოთარმა.

— ჩვენზე უფროსი რომ ხარ, ამით მოგაქვს თავი?! — უცებ პირში მიახალა ლადოს ნოდარ ციხისელმა.

— რა უფროსი? — დაინტერესდა ოთარი.

— რა და ეგ თავის სკოლაში ორჯერ დატოვეს იმავე კლასში, ჯერ მესამეში, მერე — მეოთხეში. ორი წლით დიდია ჩვენზე და ამიტომაც იხედება მკლავებზე.

ლადო ლომინაძეს ჯერ ცეცხლი წაეკიდა სახეზე, მერე გაფითრდა. კბილი კბილს დააჭირა.

— შ-შენი... — ჩაიშიშინა.

ნოდარმა მასწავლებლის სკამს ხელი წამოავლო:

— არ შემაგინო, თორემ!..

— მოიცათ, — მშვიდად თქვა ჟენიამ, ვიდრე რობიკა, რომელიც ასეთ წინააღმდეგობას არ მოელოდა, რაიმეს თქმას მოისაზრებდა. — ნოდარ, ერთი ეგ სკამი ამ მერხს მიუდგი, თუ ძმა ხარ! გინებისა კი ნუ გეფიქრება, ვერ შეგაგინებს.

ნოდარმა სკამი რიხინით მიაჩოჩა მერხთან.

— აბა, აქეთ მოდექ, ფეთიანო! — ჟენია მერხს მიუჯდა, პერანგის სახელო აიკაპიწა, იდაყვი ფიცარს დააყრდნო და გაფარჩხულთითებიანი ხელი ზევით აიშვირა. — აი, აქ, პირდაპირ დამიჯექი. მოდი, ვნახოთ, ვინ — ვის!

ლადომ მუქარით დააქნია თავი და მერხს მიუჯდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



# მსხვერპლი

მოთხრობა

ინსპექტორმა გოგოლაშვილმა ის-ის იყო მაგიდა გადაწმინდა, ფანქრებს წვერი წაუმახვილა და ოქმის წასაკითხად მოემზადა, რომ კარი ჭრიალით გაიღო და დაჭორფლილცხვირიანი პატარა ბიჭი შემოიძურწა. გოგოლაშვილმა ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა დაუპატიჟებელი სტუმარი. ბიჭს გაღეღილი ქურთუკის მოკლე სახელოებიდან წვრილი მაჯები უჩანდა. მარჯვენა თვალის ქვეშ ნაკაწრი ეტყობოდა. შარვლის ტოტები ძლივს უფარავდა გაქუცული ფეხსაცმლის ყელებს. ხუჭუჭა თმაზე დაუდევრად ჰქონდა წამოგდებული ნაბდის ქუდი. ქურთუკის შიგნიდან კი შავი ჯემპრის საყელო გადმოჩაჩოდა. მთელ მის გარეგნობას დაუდევარი და თავქეიფა ბიჭის იერი დაჰკრავდა, მაგრამ ახლა მამა აბრამის ბატკანივით იცქირებოდა აპრეხილი წამწამების ქვემოდან. ბიჭი კარების გვერდით, ცისფრად შეფეთქილ კედელთან აიტუზა და ცალი მხარი მორიდებისაგან ზევით ასწია.

— რაზე გარჯილხარ, ვაჟკაც? — ხმა დაიბოხა გოგოლაშვილმა. სამელნეს ადგილი მოუნაცვლა და სკამზე კარგად გასწორდა.

ბიჭი უხერხულად შეიშმუშნა.

— მე... ისა ვარ, მსხვერპლი, — ჩაილაპარაკა ენის ბორძიკით, ნაწყვეტ-ნაწყვეტ და ფეხი აატოკა.

— ვინაო? — გაკვირვებისაგან სკამზე დაპროწიალდა გოგოლაშვილი. -- ვინ ბრძანდები?

— თავმჯდომარემ თქვა, ინსპექტორი მსხვერპლის გაღებას მოითხოვსო და მეც წამოვედი, — ჩაიქსუტუნა და თვალები ეშმაკურად გააპარა მასპინძლისაკენ.

გოგოლაშვილს კინაღამ გაეცინა, მაგრამ თავი შეიკავა, საულვაშე მოიფხანა და მრისხანედ შეჰყარა წარბები.

— აჰა! მაშ თავმჯდომარემ მსხვერპლი გაიღო, არა? მაგრე ვერ მივართვი. თუ კარგი ბიჭია, წავიდეს და თვითონ მწყემსოს ცხვარი, ან არადა წობრძანდეს და გამოსაფხიზლებელში ჩაჯდეს. მე ჩემი გეგმა მაქვს, ვადაზე ადრე ვერავისაც ვერ გავუშვებ. მცირეწლოვანებს კიდევ მსხვერპლად ვერ მივიღებ.

გოგოლაშვილს უცებ მართლა მოუვიდა გული და მაგიდას ხელისგული დაარტყა.

— ამ სიშორე გზაზე როგორ გამოგიშვა?!

„მსხვერპლმა“ თვალი მოარიდა.

— იმან კი არ გამომიშვა, თვითონ წამოვედი, ავტობუსი და მისი ჯანი.

— რათა მერე, შენ ვისი ტიკი-ტომარა ხარ? — კვლავ მრისხანებამ შეიპყრო გოგოლაშვილი.

ბიჭი ოდნავ შეყოყმანდა, მერე აწურული მხარი დაბლა დაუშვა და ყრუდ ჩაილაპარაკა:

— მე შვილი ვარ... პატიმრისა.

— ვისი, აი, იმ ლოთისა? — შეხტა და შეპროწიალდა გოგოლაშვილი — აი იმ ლოთიბაშისა?

— ლოთიბაში რად არის? — იწყინა მსხვერპლმა. — იგეთი კომბლის დაჭრელება იცის, რო... მაგისთანა ჩონგურის დამკვრელი მთელ უბანში მეორე არ მოიძებნება, ბიჭებს ჭიდაობას გვასწავლის.

— კაი, კაცო? — იქედნურად ჩაეცინა ინსპექტორს. — მაშ ჭიდაობასაც გასწავლით, ჰა? შვილსაცა და შვილის ამხანაგებსაცა, არა?

ბიჭი კვლავ შეყოყმანდა, მერე მხარი ისევ თავისებურად აიწურა და თავი დაუქნია.

— ჰო, გვასწავლის...

— მაინც ლოთია, — დაბეჯითებით გაიმეორა გოგოლაშვილმა, — ლოთია.

— ლოთი რად არის? ერთი-ორი ჭიქა ძმაკაცთან რომ დალიოს, ლოთი ეთქმის? — გაუბედავად სცადა ბიჭმა მამადხსენებული კაცის დაცვა.

— შენ მასწავლი, არა? — გაცეცხლდა ინსპექტორი. — იცი, სად დავიჭირე? საავადმყოფოს ეზოში იდგა და ღრიალებდა, თავისი ჭკუით, ავადმყოფებს ართობდა, ვითომ მღეროდა რა...

— ვიცი, — წამწამები აახამხამა ბიჭმა, — იქ არ ვიყავი?

— შენ იქ რა გინდოდა? — ყურები ცქვიტა ინსპექტორმა, — მე იქ არ დამინახიხარ.

— საიდან დამინახავდი, ღობეს ვეფარებოდი.

— მოიცა, მოიცა, — პიჯაკის საყელოს ჩააფრინდა გოგოლაშვილი ორივე ხელით, — მაშ როგორაო?

— როგორა და ძმაკაცი გაუხდა ავად, — ენა დაება ბიჭს.

— ვინ ძმაკაცი?

— ილო ძია, მოწინავე მწყემსი.

გოგოლაშვილმა კეფა მოიქექა.

— ეგ რომელი მოწინავე?

— მჭედლიშვილი. შარშან გაზეთშიც იყო გამოჭიმული. ტყუპი ბატკანი ჰყავდა გულზე ახუტებული.

— ეგრე გეთქვა, გამახსენდა. მერე?

— ჰოდა, ავად გახდა. ექიმმა უთხრა, ბრმა ნაწლავი გტკივაო. ადგნენ და საავადმყოფოში დააწვინეს. დღეს დილით მიტო ძია შემხვდა...

— ვინ მიტო ძია? — შეაწყვეტინა გოგოლაშვილმა. ბიჭი უცებ გაწითლდა.

— მამაჩემი.

— მერე? თუ მამაა, ძია როგორღაა?

— ილო ძიაში ამერია, — გამოასწორა ბიჭმა.

— მოწმეს არ უნდა აერიოს. ეჭვმიტანილებს აღარ დავკითხავთ, — მკაცრად გააფრთხილა გოგოლაშვილმა. — განაგრძე!

ბიჭი მოიბუზა და ნეკი თითის ფრჩხილი წაიკვნიტა.

— ჰოდა, მოვიდა მამაჩემი და მეუბნება, ილო ძიასთან სანახავად მივდივარო. მეც წამოვალ-მეთქი, შევეხვეწე. იფიქრა, იფიქრა, მერე დამთანხმდა, წამოდიო, მაგრამ პირის პატივი რა წავუღოთო?

შარშან მე რომ ავად გავხდი, მიტო ძია მოვიდა და საჩუქრად ერთი კარგი ბატკანი მომიყვანა, მაგრამ ილო პატარა ბიჭი ხომ არ არის, რო ბატკანი წაგვეყვანა.

— მოიცა, მოიცა, — ისევ შეაწყვეტინა გოგოლაშვილმა, — მიტო ძია ვიღაა? ისევ მამაშენი?

ბიჭმა ძლივს მოახერხა ნერწყვის გადაყლაპვა.

— ჰო.

ინსპექტორი გაბრაზდა.

— ჰოდა, ხომ გითხარი, მოწმემ არაფერი არ უნდა აურიოს-მეთქი.

— ვღელავ, — თავი იმართლა ბიჭმა და მხნეობა მოიკრიბა. — ჰოდა, ბატკანს ხომ არ წავუყვანდით, ავდექი და დედაჩემის გადანახული ერთი ლიტრა არაყი გამოვუტანე.

— რა შენი გამოტანა უნდოდა, თვითონ არ იცოდა, არაყს სად ინახავთ? — გამომცდელად ჩაეცინა გოგოლაშვილს.

— დედაჩემი მალავს ხოლმე, — არ დაიბნა ბიჭი.

— კარგი, ჰო, მერე.

— ჰოდა, ჩაიდგა არაყი და წავედით. მივედით საავადმყოფოში, დაგვინახა ილო ძიამ, გადაირია სიხარულისაგან, ჩვენი სარქალ-სარდალი მობრძანდაო? მაკოცა და მაკოცა. დავსხედით ერთად.



გაიშალა პურ-მარილი. იმ პალატაში სხვა კაცებიც იყვნენ, ისინიც შემოგვიერთდნენ, მაინც კვირაა; ექიმებიც წასულები არიან, და მოდი ერთი ადამიანურად პური ვჭამოთ, ყელში ამოვიდა ამათი დიეტაო... ჭამეს, სვეს და ცოტა შექეიფიანდნენ კიდეც. განა მარტო ილო ძიას რო, სხვებსაც ჰქონდათ ცოტ-ცოტა სასმელი, ჩვენსავით მნახველებს მოეტანათ.

გოგოლაშვილმა ისე წამოიწია, თითქოს ლაპარაკში ჩარევა უნდაო, მაგრამ ხმა აღარ გაუღია, სახეზე მსუბუქმა ღიმილმა გადაჰკრა და ოდნავ გააქნია თავი.

— ჰოდა, რომ დალიეს, — ტუჩები მოილოკა ბიჭმა, — სიმღერაც მოუნდათ, ჯერ მოგუდული ვთქვათო, მერე ცოტა კრიმანჭულიო, მერე ბანიო და ერთბაშად კარგა ლაზათიანად დასცხეს. მიტო ძია, ხომ იცი, სოფელში განთქმული მომღერალია.

— ეგ რომელი ძია, მამაშენი? — მაინც არ გაუძლო გულმა გოგოლაშვილს.

ლაპარაკში გართულმა ბიჭმა ყურადღება არ მიაქცია.

— უმაგისოდ პურის ჭამა არ იქნება. ეგა და ილო ძია სუფრაზე „შავი კაკაბივით“ რომ შეიბმებიან ხოლმე, მაშინ უნდა ნახოთ... ჰოდა, გაიგონა საავადმყოფოს კარისკაცმა ჩვენი სიმღერა და ამოგვივარდა ზევით. დაგვიფრინა. ჩვენც დაბლა ჩამოვედით. მიტო ძიამ დაიჟინა, ერთი კუპლეტი დასამთავრებელი დამრჩაო, დადგა ეზოში და იქიდან ემღერებოდა ძმაკაცსა, თქვენ კიდევ ამბობთ, ღრიალებდაო... — მუნათით დააყოლა ბიჭმა და ინსპექტორს ქვეშ-ქვეშ გახედა. გოგოლაშვილი სადღაც იქით, ჩალურჯებულ გორაკებს გასცქეროდა და სახეზე ოდნავ ღიმილგადაფენილი მაგიდის ზედაპირს თითებით უკაკუნებდა.

ბიჭმა მოთმინებით უყურა ინსპექტორს, მერე ნაწყვეტ-ნაწყვეტ განაგრძო:

— თქვენ რომ დააპატიმრეთ, თავმჯდომარესთან გავიქეცი: მიტო ძია-მეთქი... ისა, მამაჩემი-მეთქი, ინსპექტორმა...

გოგოლაშვილმა კაკუნი შეწყვიტა და მოულოდნელად ფეხზე წამოხტა.

— აქ დამიცადე. — ჩაილაპარაკა და ოთახიდან გავარდა. გაკვირვებულმა ბიჭმა თვალი გააყოლა ინს-

პექტორს, მერე ცხვირი მოისრისა და კედელთან ჩაცუცქდა.

გოგოლაშვილი მალე დაბრუნდა, მაგრამ მარტო არა, თან პატიმარიც მოიყოლა.

— აი, მოწმეც, — სახე გაებადრა მწყემსს ბიჭის დანახვაზე, — კიდევ იტყვი, მთვრალი იყავიო?

გოგოლაშვილმა ირონიით შეხედა კაცს, მერე ბიჭზე გადაიტანა მზერა. ბიჭი რაღაცნაირი დაბნეული და შეცბუნებული შეჰყურებდა მწყემსს. მერე წამოხტა, დაიკუზა და კარებში გაქცევა სცადა.

— მოიცა კაცო, — მხარში ხელი სტაცა ინსპექტორმა, — მამაშენს მე მიტოვებ? წაიყვანე, თორემ კიდევ არსად შეუხვიოს ავადმყოფების გასართობად.

გაოცებული მწყემსი ინსპექტორისაკენ შემობრუნდა.

— შენ რაღაცა გერევა, უფროსო. საწყალი მაგის მამა, შარშან ავარიაში მოჰყვა და... — ჩაილაპარაკა უმწეოდ, სინანულით, მაგრამ ინსპექტორმა, ვითომ ვერ გავიგეო, ყური მოიყრუა.

— აი, მაგისთანა დამცველი უნდა ჰყავდეს შენისთანა ლოთიბაშსა, მაგ ბიჭის ხათრით, თორემ...

კარებთან უხერხულად ატუზულმა ბიჭმა ორივეს გაფაციცებული თვალები შეანათა, მერე სახეზე მკლავი აიფარა და გული ამოუჯდა. შეცბუნებული პატიმარი უღონოდ დაეშვა სკამზე.

— მაპატიე, უფროსო, — წარმოთქვა ნაღვლიანად და თავი ჩაქინდრა. გოგოლაშვილს არაფერი უთქვამს, ბიჭს მხარზე ხელი მოხვია და ხუმრობით სცადა მისი დამშვიდება.

— კარგი, ბიჭო, ეხლა, გეყოფა, მსხვერპლი გაღებულია, კაცო. — ეჰ, რა ტყუილად ვხარჯავ დროს ოქმების წერაში? წადით, წადით, — მაგრამ ბიჭი აღარ უსმენდა, ინსპექტორს მკერდზე ეხუტებოდა და ალერსისაგან წათამამებული უკვე ხმამაღლა, გულიანად ტიროდა.



**ნაზო ანდრონიკაშვილი**

**ნახატები ავტორისა**

## სად ერჩია?

ზამთრის პირზე ნაგვიანებად გამონასკვული ვარდის კოკორი ტრთოილს შეეყინა და გაშლა ვეღარ მოესწრო. ცივი ნიავის სისინზე უმწეოდ კანკალებდა ფერდაკარგული.

შეეცოდათ...

მოწყვიტეს და ოთახში შეიტანეს.

ნეტავ თვითონ სად ერჩია ყოფნა? თბილ ოთახში, სამშვენისად ჩადგმა ბროლის ლარნაკში თუ ისევ გარეთ, დედაფესვთან, ყინვა-სიცივეში?

## თინიკოს ღიღილო

სამხატვრო სკოლაში, ხატვის გაკვეთილზე მასწავლებელმა ერთი ღერი ღიღილო შემოიტანა, დაფაზე მიამაგრა და ბავშვებს უთხრა:

— ბავშვებო, შეხედეთ ამ ღიღილოს, წარმოიდგინეთ და დახატეთ, სად შეიძლება ყოფილიყო ეს მშვენიერი ყვავილი?

ბავშვები ცნობისმოყვარეობით მიაჩერდნენ დაფაზე მიმაგრებულ ღიღილოს და ყველამ თავისებურად წარმოიდგინა და გააცოცხლა ის. ზოგს მინდორი დაუდგა თვალწინ, ღიღილოებით ცისფრად მოფენილი; ზოგმა თაიგულად შეკრული ან ლარნაკში ჩადგმულ მინდვრის ყვავილებში შერეული, ან მორაკრაკე ნაკადულის პირას აღაღანებული დაინახა ლამაზი, ცისფერი ყვავილი. ლელამ კი პატარა გოგო წარმოიდგინა — ხელში სათუთად ეჭირა ღიღილო და სიყვარულით დასცქეროდა.

— მე ამას ვერ დავხატავ, — ჩურჩულებდა ღიღილოს სილამაზით მოხიბლული თინიკო, თან ფრთხილად აზავებდა ფერებს.

გაკვეთილი მთავრდებოდა. ბავშვებს თითქმის მოეთავებინათ მუშაობა და ახლა თვალის უკანასკნელი გადავლებით ამოწმებდნენ თავიანთ ნამუშევრებს. მოულოდნელად ღია ფანჯრიდან ფრთახატულა პეპელა შემოფრინდა.

ბავშვები აწრიალდნენ. ყველამ ხელი მიატანა დასაჭერად. პეპელა კი არხეინად დაფრინავდა მათ შორის, თითქოს ნახატებს ათვალიერებსო. იფრინა, იფრინა და თინიკოს ახლად დახატულ ღიღილოზე დაჯდა. პაწია ფეხებით ჯერ კიდევ სველ საღებავებში ჩაეფლო, ცოტა ხანს ასე იჯდა; მერე აფრინდა და ფრთებზე ღიღილოსფერმიმატებული ისევ წყნარად გაფრინდა საკლასო ოთახიდან.

ბავშვებმა თინას მოლბერტზე გადაჭიმულ ტილოს დახედეს. ყველამ იგრძნო პეპლის არჩევანის სისწორე — თინიკოს ღიღილო შეუდარებელი იყო და ალბათ ფრთახატულასაც იგი ნამდვილი, მინდვრად გადაშლილი ყვავილი ეგონა.





# „ქვეყნის ავ-კარგი გაღელვებს როცა...“

ძველ ინტელიგენტურ წრეში გაიზარდა, ჭიათურაში, პედაგოგების ოჯახში. აქვე, ოჯახში გამართულ ლიტერატურულ თავყრილობებზე, იგივე ხუთშაბათობებზე მოხდა მისი პიროვნული და შემოქმედებითი ჩამოყალიბებაც. უამრავ სტუმარს — იმ დროის გამოჩენილ მოღვაწესა და მამულიშვილს მასპინძლობდა ხუთშაბათობით ბარათაშვილების კარღია ოჯახი. ტრადიციულად, ძველებურ სამოვარს შემოუსხდებოდნენ მამასთან დამეგობრებულები — კიტა აბაშიძე, გიორგი ზდანევიჩი, იროდიონ ევდოშვილი, იპოლიტე ვართაგავა, შემოემატებოდნენ ახალგაზრდებიც, — ძმის მეგობრები — ლევან ასათიანი, ბესარიონ ჟღენტი, აკაკი ბელიაშვილი, სხვებიც... და გაჩაღდებოდა ცეცხლიანი მსჯელობა ქვეყნისა და ხალხის ბედსა და მდგომარეობაზე, კულტურის საკითხებზე, თეატრზე, ლიტერატურაზე...

ღრუბელივით ისრუტავდა პატარა გოგონა ამ საუბარს ქვეყნისა და ხალხის საჭიროებებზე, მერე კი, თავის ოთახში მარტოდ დარჩენილი, დიდხანს ოცნებობდა. ფიქრიც კი ძალზე თამამი გამოუდიოდა, იმდენად უნდოდა, რომ თვითონაც ქვეყნისათვის ასეთ საჭირო და გულშემატკივარ ადამიანად გაზრდილიყო.

ქალბატონ მარიკას პირად არქივში, იმ ხელნაწერებს შორის, რომლებიც მისთვის განსაკუთრებით ძვირფასია, დღემდე სათუთად ინახება პაპა შიოს — დიდი შიო მღვიმელის (ქალბატონ მარიკას ის ბებიის ძმად ერგებოდა) ერთი, მისადმი — ჯერ კიდევ ცეროდენა გოგონასადმი, მიძღვნილი ლექსი, რომელსაც ასეთი სტრიქონები აქვს წამძღვარებული: „ჩემს პატარა წიწკნატელას, რომ უცინის ტკბილად ყველას, ცუგრუმელას, ცისარტყელას, ბარათაშვილ მარიკელას.“

ამ ამბავს, ბარე შვიდი ათეული წლის იქით მომხდარსაც, ქალბატონი მარიკა ულიმილოდ ვერ იგონებს.

— მახსოვს, შიო მღვიმელი სტუმრებს გამოეყო, ოთახში შევიდა და კარი გამოიკეტა. მეც მინდოდა, შევყოლოდი, მაგრამ დედამ დამტუქსა— ხელი არ შეუშალო, პაპა შიო ლექსსა სწერსო. ცნობისმოყვარეობამ აღარ დამაყენა. თავი ვერაფრით დავიოკე, ისე მინდოდა, შემეტყო, რას, თუნდაც ადამიანის როგორ მდგომარეობას ნიშნავდა ეს ლექსის წერა... კარის ღრიჭოდან დავიწყე თვალთვალი. და თქვენ წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება და იმედგაცრუებაც კი, როცა ჩემი სათაყვანო პოეტი მაგიდასთან ძალზე ჩვეულებრივ პოზაში მჯდომი დავინახე — კალამი მოემარჯვებინა და ისეთივე დაჟინებით ჩასციებოდა რვეულის ფურცელს, როგორც მამაჩემი მოწაფეთა ნამუშევრების სწორებისას.

ალბათ, კარის ღრიჭოდან მწერლის დიდი შრომის ასე „მისაწვდომად“ დანახვაც იყო ერთი მიზეზი, პოეტის ძნელ გზაზე დადგომა რომ შეუგვიანა მარიკა ბარათაშვილს და პირველი საბავშვო ლექსების დაბეჭდვაც მხოლოდ ქალობაში შესულს — უკვე ორი შვილის დედას გაბედვინა.

შვილები იყვნენ მისი საბავშვო ლექსებისა და პოემების პირველი პერსონაჟებიცა და მკითხველებიც. ერთი ციდა, თხუპნია ნანული და ფეხბურთის სიყვარულს გადაყოლილი სულხანი — მისი „ყვავილები“, როგორც თავად უწოდებს ერთ ლირიკულ ლექსში.

ასე დაიწყო. მერე საკუთარსავე მაგალითზე დარწმუნდა — გაბედულებაზე ნაკლები არც შრომა სჭირდება თურმე მწერლობას, სულიერი ძალების მთლიანად გაღება, მთლიანად დახარჯვა, ბევრი ფიქრი, ბევრზე ბევრი მუშაობა საკუთარ თავზე და კიდევ უფრო მეტი — პასუხისმგებლობა და ნერვები...

და ერთშიც დარწმუნდა: რაც უფრო ჭარბად გაიღებ, ასჯერ უფრო ტკბილი და დაუთმობია თურმე თითოეულ სტრიქონზე გამარჯვებისა და ლექსის წერისას განცდილი ნეტარების წუთები...

ასე დაიწერა ავტორისათვის დღემდე ძალზე საყვარელი საბავშვო პოემა „ნანული“, რომლის დიდ წარმატებაზე მარტო ისიც მეტყველებს, რომ იგი უკვე რამდენჯერმე ითარგმნა — ჯერ რუსულად, შემდეგ, უკრაინულ, თურქმენულ და ოსურ ენებზე.

ასე დაიწერა ქალბატონ მარიკას სხვა საბავშვო პოემებიცა და ლექსებიც, რომელთა პერსონაჟების გალერეაც პოეტი ქალისათვის ახალი

საფიქრალ-საზრუნავის შემომატებამ — ბებიობამ კიდევ უფრო გაამდიდრა და გაახალისა.

ასე დაიწერა მარიკა ბარათაშვილის შესანიშნავი ლირიკული ლექსებიც „საპოვნელა“, „ავტობიოგრაფია“, „გავა დრო“, „მე და ის“, „ბუნტარები“, „დედა“, „მესხური ციკლი“ და „აჭარული ჩანახატები“, ბარათაშვილის, ილიასა და სამამულო ომის თემებისადმი მიძღვნილი მშვენიერი ლექსები... ასე დაიბადა პოეტი ქალის დრამატურგიაც — მისი შემოქმედების სხვა მხარე, რომელსაც უთუოდ თავისი კვალი დააჩნია კიდევ ერთმა, ბავშვობის დროინდელმა სიყვარულმა თუ გატაცებამ...

ბარათაშვილების ოჯახს ხშირად სტუმრობდა მათივე ნათესავი — მაშინ უკვე საკმაოდ ცნობილი მსახიობი უშანგი ჩხეიძე. იმხანად იგი ქიათურასთან ახლოს, ზესტაფონში ცხოვრობდა. მისი ჩამოსვლა ზეიმი იყო წვრილფეხობისთვის. მაშინვე მარიკას მამიდის, ქალბატონ მარგალიტა ვაშაძის სარდაფს მიაშურებდნენ ხოლმე ყმაწვილები. ცოტას მიდგებმოდგებოდნენ, რომელიმე პატარა პიესაზე ან სცენაზე წაიმუშავებდნენ და დგებოდა დიდებული წუთი — მძიმედ, ნამდვილი თეატრისათვის დამახასიათებლი „მედიდურობით“ იხსნებოდა „თეატრალური“ ფარდა, იწყებოდა წარმოდგენა... მაშინ მარიკა 5-6 წლისა იქნებოდა, ჰოდა ძმა-მამიდაშვილები საწვრილმანო თუ საპატარაო როლების შემსრულებლად მასზე უკეთესს ვის ნახავდნენ. გატაცებით თამაშობდა გოგო-ბიჭების როლებს პიესებში „პეტრიკა მოიწამლა“, „მდგმური“ და სცენისადმი ინტერესთან ერთად, ნიჭსაც დიდს ამჟღავნებდა...

მაგრამ მოხდა ისე, რომ უშანგი მალე სხვაგან გადავიდა საცხოვრებლად და ეს კეთილისმყოფელი ვიზიტებიც უნებურად შეწყვიტა. მამიდას სარდაფში მოწყობილი მშვენიერი იმპროვიზებული თეატრის გაძლოლა კი... პატარა მარიკამ გადაწყვიტა. ერთხელაც, ერთ-ერთი რეპეტიციისას, ახალი თეთრი კაბითა და ბაბთებით გამოკოხტავებული და დედოფლებით გარშემორტყმული, ავიდა ყავრით გადახურულ საქათმეზე, დედოფლები წესისა და რიგის მიხედვით ჩაამწკრივა და წარმოდგენაც დაიწყო. იმ დღეს განსაკუთრებით დიდი გატაცებით თამაშობდა პატარა მარიკა, ამ განსაკუთრებული მოწადინების ბრალი იყო, თუ ზედმეტი სიცელქისა, საქათმის სახურავი ჩაინგრა და ჩვენი პატარა მსახიობიც, სანამ გაფიქრებას მოასწრებდა, კრუხის საბუდარში ჩავარდა... მას შემდეგ სცენა შემჯავრდაო — ამ მიამიტი ფათერაკის გახსენებაზე ახლაც ბედნიერად იცინის.

ასე იყო თუ ისე, მარიკა ბარათაშვილის, როგორც შემოქმედის, განვითარებამ უკვე ნათლად დაგვანახა, თუ რა ფეხბედნიერი აღმოჩნდა თეატრალურ სამყაროსთან მისი ეს პირველი და უნებური „კონფლიქტი“. ამის დასტურად შეგვიძლია მოვიხმოთ მისი არა ერთი და ორი შესანიშნავი პიესა, რომლებიც შექმნისთანავე აიტაცეს ჩვენმა თეატრებმა და დიდი წარმატებითაც იდგმებოდა მათ სცენებზე.

მარიკა ბარათაშვილი ლირიკოსი პოეტია, ქალის — დედის, ქალის — მამულიშვილის, ქალის — მეგობრის ბევრი ტკივილის მპოვნელი და წამკითხველი. ამ ენით, ამ გულისხმიერებით ესაუბრება იგი თავის ლირიკულ გმირს — თანამედროვე ქალსაც და მელანია ხელაშვილსა და საბედა გულხადარაშვილსაც — ასზე მეტი წლის წინ კახეთის ამბოხებისას დაღუპულ გმირ სოფლელ ქალებს, ესაუბრება ქვეყნისა და მამულის სახელით, რადგან სწამს მათი ქალობისა და დედობისა, რადგან იცის, რომ „რა ქალი წახდეს, მაშინ დაეცეს მამული წმინდა და სანუკვარი“.

პოეტის ამგვარი პოზიცია — ქალის ბედით, პრობლემებით, სატკივარით, მოვალეობებით, დიდი მამულიშვილური და საბუნებო მისიით მისი დაინტერესება მარიკა ბარათაშვილის მოღვაწეობის მრავალ სფეროში მჟღავნდება (უკვე წლებია, იგი არის საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის წევრი). მჟღავნდება რესპუბლიკის ქალთა ჟურნალ „საქართველოს ქალის“ საქმიანობაშიც, რომელსაც იგი აგერ უკვე 18 წელია უღალატოდ უძღვება, მჟღავნდება მის ყოველდღიურ საზრუნავსა და ფუსფუსში, „როცა სევდის უღვთო მრუმეში ქალის საფიქრალს ქსელავს ობობა“...

ძალზე ძნელი, მაგრამ ასევე ძალზე საინტერესო და მრავალმხრივი ცხოვრება განვლო ამ არანაკლებ საინტერესო ქალმა, ვიდრე 75 წლის გადასახედთან ასეთი შეუცვლელი, ხალისიანი და ცხოვრებისაგან გაულახავი, ახალგაზრდულად დაუხარჯავი და მეგობარმრავალი მოვიდოდა, ვიდრე იტყოდა: „ამქვეყნად ვიღაც გიყვარდეს უნდა, ნუთუ არა გსურს, ან არა გსურდა, რომ ძნელ წუთებში, როცა ხანდახან ტკივილი გიპყრობს რამ უსაშველო, იგრძნოს და სიტყვა წამოგაშველოს...“

გაგეგონებათ, ასაკში შესვლამ ბავშვობის მონატრება იცისო. ბავშვობის გახსენება ყოველთვის ცოცხალი განცდა იყო მარიკა ბარათაშვილისათვის, ისეთივე ხელშესახები და სურათოვანი, როგორც „კოინდარში ჩამჯდარი ციცქნა გოგოს საოცრების ლოდინით სავსე თვალებია“, გოგოსი, რომელსაც „სანატრელი ისე ბევრი აქვს...“

თუმცა სანატრელს რა გამოულევს ამ „ციცქნა გოგოს“ ასაკში შესულ ორეულსაც. საოცნებოს და მისაგნებს რა დაულევს პოეტს, რომელიც ჯერაც ასე ღონივრად, ასე ოპტიმისტურად ახერხებს, განა მარტო საკუთარ თავს, არამედ სხვასაც — მხრებჩახრილსა და გულმოშვებულს, შემოუძახოს: „რას ნიშნავს სიტყვა „წუთისოფელი“ რაა სიბერე ბოლოს და ბოლოს? როდესაც ცოცხლობ, როდესაც შფოთავ, ქვეყნის ავ-კარგი გაღელვებს როცა და უსაშველოდ კამათობ როცა...“

**ნ. ხარაზიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ზ ი ა  ჩ ხ ე ტ ი ა ნ ი

# გახსენება



ზეცა მზის ღიმილს გვაღვრიდა,
გზა ღიღინებდა ჩქარი
და ავტობუსის ფანჯრიდან
ყვავილს გვაყრიდა ქარი.

ქუხდა რიონის ხეობა,
გაღმა-გამოღმა მთები,
შორს ნისლი მოირხეოდა
ჩამოძენძილი თმებით.

ვიღაც უსტვენდა „სულიკოს“ —
გულს თუ სალხენი ჰქონდა,
კაკლებში მიყუჟულიყო
ჩვენი პატარა ოდა.

შაშვი გალობდა,
გ ა ლ ო ბ დ ა,
ბინდი დგებოდა მკრთალი
და კისკისებდა წყაროსთან
უბნის ქალი და რძალი...

ვზივარ,
ვიხსენებ ოცნებით
სოფელს, ფერდობზე გაშლილს,
ორღობეს ბებო მოჰყვება
გახუნებული თავშლით.

მოდის, მობღავის ფურდედო,
მოდგება ეზოს ჭიშკარს,
მივრბივარ,
ჭიშკარს ვუღებ და
ისიც მოარხევს ჟიქანს,

შეეგებება ბებია
დიდი საწველი სათლით,
ბროლიაც ასდევნებია,
ჩვენი ბომბორა ძაღლი.

რა ძლიერ მომნატრებია
ის ხმა,
ის ტკბილი კილო:
„შენ შემოგევლოს ბებია,
როგორ გაზრდილხარ, შვილო!“

ჯაფით დამდნარი თითები
და გალეული მხრები...
მალიმალ შევეკითხები,
— შენ როგორა ხარ, ბები?

ხაჭაპურს მიწვდის, იმარჯვებს
ჩაის ქათქათა ტილოს.
— ეჰ, ჩემო თვალის სინათლევ,
რა ვქნა,
რა მიჭირს, შვილო...

* * *

ჭიშკართან ბებერ ნეკერჩხალს
ცრემლი სცვივა თუ ცვარი?!
წყარო ღუღრტულით ვერ შემხვდა,
დაწრეტილია წყალი.

მოლს მოსდებია ჟალტამი,
კიბეს აწყდება რისხვით,



აღარ კაკანებს ქათამი,
არც ძაღლის ყეფა ისმის;

არ ბღავის ფური, სახარე,
არ დაქოთქოთებს კრუხი,
გაცივებულა ღადარი,
არც რა კერიას ულხინს;

აღარ ღიღინებს ბუხარი,
არც რას გვიამბობს ზღაპარს,
მხოლოდ ობობას უხარის,
ქსელი გაუბამს ცხრაფა;

არც ბებოს ტკბილი სიტყვები...
ცრემლი მახრჩობს და მაწვალებს,
და ბილიკს აღმა მივყვები,
იქ,



სადაც სოფლის საძვალეს
მოხუცის ნეშტი მიმქრალი,
უსიტყვოდ მიჰბარებია...
დიდი გავზრდილვარ? მითხარი,
შემომეგებე, ბებია!

საფლავზე ნაძვის ჩრდილია,
ძეძვიც გაზრდილა ნაძვთან,
საფლავის მიწა გრილია,
შენ თბილი გქონდა კალთა!

კი, მკაწრავს, მაგრამ არ მტკივა!
ძეძვს გაგიხარებ გულზე?
ნაძვის წიწვები მაცვივა,
მაყრის ნეკერჩხლის ფურცლებს.

ქარი და ცრემლი ობოლი
შენს ცივ სამარეს ცვივა...
ჩუმად შრიალებს ფოთოლი,
ღრუბლები დიან მწკრივად.



ჩემი ცრემლი თუ აკვნესებს —
წუხს სალამურის ყელი
და მელანდება აკვნებზე
სუსტი,
დამჭკნარი ხელი:

ეს ბებიები არწევენ
ჩვილებს, —
ნანაო, ნანა!
ხნულში ხარი დგას გამწევი,
მთები დევკაცებს გვანან.

მათ მხრებზე ოქროდ დამდნარი
მზე გულს და ხელებს მითბობს,
შენი ნათქვამი ზღაპარი
აცხადებულა თითქოს;

ბრწყინავს,
ციმციმებს წყაროსთან
ნატვრისთვალი თუ ხვითო.
„ცხვა, ობლის კვერი...
გამოცხვა
ხალხის მადლით და ღვთითო..."

და ჰორიზონტებს ჭიხვინით
აწყდება ოქროს რაში,
კვლავ წინ მიდგახარ,
მზის სხივი,
სითბო გიცინის თვალში.

სინათლის ფერმკრთალ სხივებად
ჩანან სიკეთის გზები,
შენი კალთიდან იწყება
ჩემთვის ეს გზები, ბები!

ვგრძნობ,
როგორ ნელა ბაცდება ნისლი,
საფლავის ბორცვზე ჩახჩახა მზეა,
მგონია,
რომ აქ იწყება ისიც,
რასაც სამშობლოს სახელი ჰქვია!

ვგრძნობ,
რისთვის მზრდიდი,
მენთება გულზე
სურვილი,
ვალი ყველას წინაშე,
რომ არ მოვშალო კერა და ფუძე,
შენ რომ ამდენ ხანს შემოინახე.
რომ ამოვაგდო ჟალტამი, ბირკა,
ფრთები შევასხა შენს კეთილ
სურვილს,
რომ ისევ მოდგეს ფურდედო
ჭიშკარს
და ჩვენს თონეშიც ცხვებოდეს პური,

რომ ჩვენს ეზოშიც ჰკიდებდნენ ისევ
პატარა ბალღის კაბას თუ პერანგს
და აქარგავდნენ ნაზ გულისპირზე
ცისფერ იებს და
ზიზილებს ფერადს.

მერქვას კაცი და მეხუროს ქუდი,
ვაზს ვახარებდე,
ვთესავდე,
ვხნავდე,
არ ამერიოს სწორი და მრუდი,
მყავდეს მტერიც და
მოყვარე მყავდეს!

არსად ჩამოვრჩე ტოლსა და
სწორფერს—
პურს ვმკიდე —
მარცვალს სულ შინდის სიმსხოს,
იქ ვიყო,
სადაც დასჭირდეს სოფელს,
სადაც ხალხმა და ქვეყანამ მიხმოს!

მხატვარი ზ. ფორჩხიძე



## ახალი წიგნები

### ოთარ კუსიანი
### „ტყავის ბურთი"

ძნელად თუ მოიძებნება დედამიწის ზურგზე ვინმე (მით უმეტეს — მოზარდი), ტყავის ბურთის და, კერძოდ, ფეხბურთის მომაჯადოებელ ძალას წინ აღუდგეს და არ დაემორჩილოს.

სწორედ ასეთი ხალხისათვის, განსაკუთრებით კი მოზარდებისათვის, ვისაც დღედაღამ ფეხბურთი ახსოვს და ელანდება, ჟურნალისტმა ოთარ კუსიანმა დაწერა პატარა, მაგრამ ძალზე საინტერესო წიგნი „ტყავის ბურთი", რომელშიც ნორჩ სპორტსმენთა მიერ წამოჭრილ ათას თავსატეხ კითხვაზე სხარტი და ამომწურავი პასუხებია გაცემული.

წიგნში წაიკითხავთ, როგორ შეიქმნა ჩვენს ქვეყანაში „ტყავის ბურთის" კლუბები, გაეცნობით არა მარ-




ტო ამ კლუბის წევრთა უფლება-მოვალეობას და შეჯიბრების წესებს, არამედ მეკარის, კაპიტნის, მინდვრის მოთამაშეთა ფუნქციებს, პენალტის თუ თამაშგარე მდგომარეობის საიდუმლოებებს, ინტერვიუს ბორის პაიჭაძესთან, ფეხბურთის ცნობილ ვარსკვლავთა შეხედულებებს, შეიტყობთ, ვინ არიან ფეხბურთის მესვეურები, რა მოვალეობა აკისრიათ და რის უფლება აქვთ ფიფას, უეფას, სსრკ ფეხბურთის ფედერაციას, მსაჯთა კოლეგიას და ა. შ.

„ტყავის ბურთი" კარგ მეგზურობას გაგიწევთ ფეხბურთის სამყაროში მოგზაურობისას.



ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 12

## „მეგობარი ციხე არს მაგარი“

მე მეცხრეკლასელი ვარ. მეგობრობის ცნებასთან დაკავშირებით ჩემი შეხედულებები მაქვს.

მეგობრობა ადამიანთა სულიერი ნათესაობის და ადამიანურ გრძნობათა უმაღლესი გამოხატულებაა. უმეგობროდ ძნელია ადამიანის არსებობა. მეგობრებს სულიერი თვისებები აკავშირებთ. ამიტომაა, რომ ამბობენ: „მითხარი, შენი მეგობარი ვინ არის, და გეტყვი, შენ ვინა ხარო“.

ზოგიერთი (არ ვიცი, რა შეიძლება ვუწოდოთ ასეთ ადამიანს) მეგობრობას ჩაცმა-დახურვითა და ოჯახური მდგომარეობით, პირთა თანამდებობის მიხედვით განსაზღვრავს. ასეთებთან, ვფიქრობ, ზედმეტია ამ ცნებაზე საუბარი.

მეგობრობა, ჩემი აზრით, ასაკობრივ სხვაობასთან არ არის დაკავშირებული. მთავარია საერთო ენა და ურთიერთგაგება. აი, მაგალითად, ერთი ჩემი მეგობარი ჩემზე ორი წლით უფროსია. იგი მუსიკალური სასწავლებლის სტუდენტია. საკმაო ხანია, რაც მას ვიცნობ. ჩვენ ბევრი რამ საერთო ვნახეთ, გავუგეთ ერთმანეთს, გვჯერა ერთმანეთისა. რადგან ჩემზე უფროსია, ცხოვრების სიღრმეშიც მეტად ჩახედულია, ამიტომაც ხშირად მარიგებს. მასთან მთლიანად გულახდილი ვარ.

გარდა ამისა, მეგობრები ჯგუფშიც მყავს.

ხშირად ვსაუბრობთ მეგობრობაზე, ამხანაგობაზე, სხვა საინტერესო საკითხებზე. ვარჩევთ მეგობრობაზე დაწერილ წიგნებს, წერილებს. ნდობა და გულახდილობა სუფევს ჩვენს ურთიერთობაში. ვფიქრობ, მომავალშიც ასე იქნება.

„შეიძლება თუ არა ვაჟისა და გოგონას მეგობრობა?“ — ვკითხულობ წერილში და გული მწყდება, რადგან ვაჟისა და გოგონას მეგობრობას ეჭვის თვალით ვუყურებთ ზოგიერთები. ჩემი აზრით, აქ საძრახისი არაფერია. ვაჟთან მეგობრობა უფრო სასურველიც კია. ვაჟები უფრო ღრმა და მტკიცე რწმენისანი არიან. ისინი იშვიათად თუ აშავებენ რამეს მეგობრულ ურთიერთობაში. მართალია, მე ვაჟი მეგობარი არა მყავს, მაგრამ ბევრ მათგანთან წმინდა და-ძმური დამოკიდებულება მაკავშირებს. ქალისა და ვაჟის მეგობრობა თუ სამარცხვინოა, მაშ რუსთაველმა რად დააკავშირა ტარიელი და ავთანდილი ერთმანეთთან? ამათი ერთურთთან?

სად გადის ზღვარი მეგობრობასა და ამხანაგობას შორის? ვფიქრობ, მეგობართან უფრო გულახდილი, გულღია ხარ, ამხანაგთან კი — მეტნაკლებად...

მეგობრობა თამაში არ არის, დაიწყო და დაამთავრო. „მეგობრობა სიკვდილამდე მწყურია,“ — უთქვამთ და ჭეშმარიტებაა ეს.

მეგობრობა ფაქიზი გრძნობაა, მას გაფრთხილება სჭირდება. მეგობრობაშიც ხდება წყენა, მაგრამ მოთმინების და პატიების უნარი უნდა შეგწევდეს.

მეგობრობას ნუ გავაუფასურებთ ჩვენი ქცევით. თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ მას და დარწმუნდებით საბას სიტყვების ჭეშმარიტებაში, როცა იგი გვეუბნება: „მეგობარი ციხე არს მაგარი“...

**მანონი სიხარულიძე,**
**ჩოხატაური, ჩაისუბნის საშუალო სკოლა, IX კლასი.**

## ჩემს გვერდით

თქვენმა ჟურნალმა ბევრი მოწინავე პიონერი გამაცნო და დამამეგობრა კიდეც მათთან. მეც მინდა, ჩემს თანატოლებს გავაცნო ჩვენი სკოლის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე — წარჩინებული მეშვიდეკლასელი მოსწავლე რუსუდან ფიფია. რუსუდანი მისაბაძია სწავლაშიც და შრომაშიც.

ამ ზაფხულს მუჟავის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნობას ვეხმარებოდით ჩაის კრეფაში. იქაც იყოჩაღა რუსუდანმა. მარტო ივნისში 712 კგ ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფა. რუსუდანთან ერთად თავი ისახელეს რაზმეულის სხვა პიონერებმაც: მანონი ჩხაპელიამ, როზეტა ფიფიამ, იური შონიამ, გოჩა ლემონჯავამ, ფატმან არესნიამ, ელისო ფიფიამ და სხვებმა.

**მარინე შამუგია,**
**წალენჯიხა, მუჟავის საშ. სკოლა, VII კლასი.**

## მინდა გაგესაუბროთ...

როგორც ყველა ჩემს თანატოლს, მეც მყავს ამხანაგები, ნაცნობები, ახლობლები, მაგრამ რაც შეეხება მეგობარს, მხოლოდ ერთი მყავს, ისიც ვაჟი — ლევანი. იგი ჩემი სკოლისდროინდელი მეგობარია. ჩვენ წლობით ვისხედით ერთ მერხზე, ერთად ვმეცადინეობდით ფიზიკასა და მათემატიკაში. ხშირად ვსაუბრობდით წაკითხულზე, ნანახზე, ხელოვნებაზე, სპორტზე. ხანდახან ვკამათობდით კიდეც. თუ რამე გვიჭირდა ან გვიხაროდა, ყოველთვის ვუზიარებდით ერთმანეთს. იგი განსაკუთრებულ პატივს სცემდა გოგონებს. არც ამპარტავანი და არც ქალაჩუნა არასოდეს ყოფილა. მიხარია, რომ ჩვენი მეგობრობა ბუნებრივად მიაჩნდათ მშობლებსაც, თანაკლასელებსაც, მასწავლებლებსაც...

ლევანი ახლა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტია, მაგრამ ჩვენი მეგობრობა არ შეწყვეტილა.

ვფიქრობ, სწორი არ არის საკითხის ასე დასმა: შეიძლება თუ არა იმეგობრონ გოგონამ და ვაჟმა? დიახაც რომ შეიძლება და აუცილებელიცაა! არ მესმის, რატომ უნდა დასცინონ გოგონებმა ამხანაგ გოგონას ვაჟთან მეგობრობის გამო? ეს ეხებათ ვაჟებსაც. საჭიროა შევიგნოთ, რომ თუ გოგონა და ვაჟი მეგობრები არიან, ისინი სულით სპეტაკი და ძლიერი ადამიანები ყოფილან.

ხათუნა ბასიშვილი,
თბილისის 79-ე ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე.

## სიტყვა დავით აღმაშენებლისა

ბრძოლის ჟინით წამომდგარა
უკუნიდან ერი,
საყდრის კედლებს უკვირდება მეფემეცნიერი,
ცრემლი სდის და უსველდება
შევერცხლილი წვერი,
ფიქრობს: — ნუთუ არ აქვთ ტყავი
გვართა დასაწერი?

— რამდენ ტანჯვით და წვალებით
ტაძრებს ვაშენებდი,
მომავლისთვის შრომით, ბრძოლით
ღამეს ვათენებდი,
საქართველოს ერთ გოჯ მიწას
მტერს არ ვანებებდი
და ქართული მიწის სურნელს ჩემს
ერს ვუტოვებდი...

— დღეს მოდიხართ, შვილნო ჩემნო,
ებრძვით ციხე-ტაძრებს,
იცით რამდენს გადაურჩა ეს ტაძრები
ხანძრებს? —
ძველს რომ შლით და ახალს
ჰკვეთავთ,
რა სინდისი გაძლევთ,
ჩუქურთმაზე მეტად შვენის
თქვენი გვარი ტაძრებს?

გარი ჩაფიძე,
ქ. ჭიათურა, მე-7 საშუალო სკოლა, X კლასი.

## ტაძარი

(ჩანახატი)

იდგა ტაძარი. მისი გუმბათი ცასა სწვდებოდა.

იდგა და წარსულს იგონებდა. გაახსენდა ისინი, ვინც მისი კედლები ამოიყვანა, დაამშვენა, მოაჩუქურთმა. შავი დღეც ბევრი ახსოვდა ტაძარს: მტრის შემოსევა, ნგრევა, რბევა...

მაშინაც უდრტვინველი იდგა ტაძარი, ოდნავ შელახული, მაგრამ მაინც ამაყი...

ახლაც დგას ტაძარი, ოდნავ ფერწასული, სიმხნევედაკარგული...

ერთხელაც ტაძრის ეზო ხალხითა და მანქანებით აივსო. ქეიფი დიდხანს გაგრძელდა. რამდენი სადღეგრძელო ითქვა, რამდენი ლამაზი სიტყვა! დალოცეს ამ ტაძრის ამშენებელიც, მომჩუქურთმებელიც, მხატვარიც. ერთი სიტყვით, არავის „აწყენინეს“.

ყველაზე მეტად ერთი ღიპიანი კაცი ენამზეობდა. მერე მოქეიფეთა დაშლის დროც დადგა. აი, მაშინ დაიწყო, რაც დაიწყო. გრძნობადაკარგულმა მოქეიფეებმა ბოთლების სროლა დაუწყეს ტაძარს.

აი, ღიპიანი კაცი კი მისდგა და [illegible] ფეხური ასოებით თავისი გვარის გამოყვანა დაიწყო კედელზე...

ტაძარი კი იდგა უხმოდ და იტანდა ტკივილს, რომელიც სიძველეთა ამ თაყვანისმცემლებმა მიაყენეს.

ვეფხვია სამსონიძე,
ქ. ტყიბული, მე-4 საშუალო სკოლა,
IX კლასი.

## არაგვს უყვარს...

არაგვს უყვარს ლურჯი მთები
ხევსურივით შარიანსა,
მზე ყაყაჩოს შესციცინებს,
წითელს, შავ-შავ ხალიანსა.

გახევია კოხტა კაბა
ჭია-ჭია მარიასა...
უკადრისას ხელს ვერ ვახლებ,
გაბრწყინებულს, ნამიანსა.

წყლის ნაპირებს ვეტანები —
მწვანე-მწვანე ჭალიანსა,
ისევ ეტრფის გული ჩუმად
ლამაზს, ცისფერთვალიანსა...

ცირა ქისტაური,
წითელწყარო, ქვემო ქედის საშუალო სკოლა, X კლასი



ნინო წერელოვა,
6 წლის.

# საქართველოს სსრ წითელი წიგნი




მეცნიერებმა დაადგინეს, რომ უკანასკნელი ორი ათასი წლის განმავლობაში დედამიწაზე მოისპო და გადაშენდა ცხოველთა 110 სახეობა და ქვესახეობა. აქედან ერთი მესამედი 18 საუკუნის განმავლობაში მოისპო, მეორე მესამედი — მხოლოდ გასული საუკუნის განმავლობაში, ხოლო კიდევ ერთი მესამედი, — შეიძლება ითქვას, ჩვენი თაობების თვალწინ, ბოლო 50 წლის მანძილზე. მართლაც რომ დამაფიქრებელი და საგანგაშო მონაცემებია.

ბუნებაზე ადამიანის ზემოქმედების შესაძლებლობებისა და უნარის ზრდას, კაცობრიობის მზარდ ტექნიკურ აღჭურვილობას ცხოველთა და მცენარეთა საარსებო სივრცეების შეკვეცა, ეკოლოგიური თანაფარდობის რღვევა მოჰყვა. სამუდამოდ აღიგავა პირისაგან მიწისა ფლორისა და ფაუნის მრავალი წარმომადგენელი. სპეციალისტების დასკვნით, გადაშენება ემუქრება ცხოველთა კიდევ 600 სახეობას. უკეთესი დღე არც მცენარეებს მოელის. მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ადამიანი, რომელმაც უკვე საკმაოდ იგემა თავისი ნებსითი თუ უნებლიე შეცდომების სავალალო შედეგები, აღარ დაუშვებს ამას და ყოველ ღონეს იხმარს დედაბუნების დასაცავად და გასაფრთხილებლად.

ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელს ჩვენს ქვეყანაში, ტარდება ქმედითი ღონისძიებები, რომელთა მიზანია ფლორასა და ფაუნაზე ზრუნვა, გადაშენების გზაზე მდგარი მათი უნიკალური წარმომადგენლების გაფრთხილება-მომრავლება. ამავე მიზანს ემსახურება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური

## ნიამორი

ნიამორი ჩვენი ფაუნის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი წყვილჩლიქოსანთა რიგსა და ძროხისებრთა ოჯახს მიეკუთვნება. ამჟამად ნიამორის რიცხოვნობა იმდენად არის შემცირებული, რომ იგი თითქმის გაქრობის გზაზეა დამდგარი.

ნიამორი უფრო მცირე ზომისაა, ვიდრე სხვა სახეობების თხები. მამრების სხეულის სიგრძე 150 სმ-მდეა, სხეულის წონა იშვიათად აღემატება 40 კგ-ს. მდედრები ჩამოუვარდებიან მამრებს, როგორც სხეულის ზომით, ისე წონითაც.

მოზრდილ მამრს აქვს გაბრტყელებული შავი, რკალისებურად მოღუნული რქები, რომელთა სიგრძე ხშირად 1 მ-ს აღემატება. მდედრების რქების სიგრძე იშვიათად აღემატება 40 სმ-ს. რქის წინა მხარეს მახვილი წიბოს სახე აქვს და მასზე შესამჩნევია ბორცვები. მამრებს გრძელი წვერი აქვთ. ბეწვის შეფერილობა ზაფხულობით ქარცია, ზურგზე გასდევს მურა ზოლი. ზამთრობით ბეწვი მუქი, რუხი ფერის ხდება.

ნიამორი გავრცელებულია თურქეთში, ირანში, ერაყში, ლიბანში, დასავლეთ ავღანეთში, ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთში. სსრ კავშირში გვხვდება სომხეთში, აზერბაიჯანში, დაღესტნისა და თურქმენეთის მთებში. საქართველოში — თუშეთსა და პირიქითა ხევსურეთში (აქ მისი რიცხოვნობა ძალზე შემცირებულია).



კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თაოსნობით შექმნილი „საქართველოს სსრ წითელი წიგნი“, რომელშიც თავმოყრილია მოკლე ცნობები ცხოველთა და მცენარეთა იშვიათი და გადაშენების პირას მისული სახეობების შესახებ.

წიგნში შეტანილია აგრეთვე საქართველოს მიწა-წყალზე არსებული ცოცხალი და არაორგანული ბუნების ძეგლებიც.

მშობლიური ბუნების დაცვა — გაფრთხილება ყოველი ჩვენგანის ვალია. მასზე ზრუნვა გმართებთ თქვენც, ყმაწვილებო. იმედი გვაქვს, რომ ჩვენს მიერ შემოთავაზებული მცირე ამონარიდები რესპუბლიკის წითელი წიგნიდან და ცალკეული დამატებითი ცნობები ცხოველებსა და მცენარეებზე დაგეხმარებათ ამ კეთილშობილურ საქმეში.

მისი ძირითადი ადგილსამყოფელი მთის ზედა, სუბალპური მეჩხერი ტყით დაფარული მიუდგომელი კლდეებია. იკვებება ბალახით, მერქნიანი მცენარეების ფოთლებითა და ტოტებით, კენკრებით.

ნიამორი შობს 1-2 ციკანს მეტად მიუვალ ადგილებში და აქვე რჩება, სანამ ციკნები კარგად მომაგრდებიან. ნიამორები არვეებად ერთიანდებიან, თითოეულ მათგანში ცხოველის რაოდენობა, როგორც წესი, არ აღემატება 5-6 სულს. ბუნებაში ნიამორის კონკურენტებიდან აღსანიშნავია ჯიხვი და იშვიათად არჩვი, ხოლო მისი მტრებიდან — მგელი, ფოცხვერი, მთის არწივი.

საქართველოში ნიამორის ტყვეობაში ყოლის მხოლოდ ერთი შემთხვევაა ცნობილი, დღეისათვის კი ტყვეობაში არ არის არც ერთი ნიამორი.

ნიამორზე ყოველგვარი ნადირობა აკრძალულია.




## მარშია მათი მეგზური

ხულოს რაიონში მთებს მერცხლის ბუდესავით მიკვრია ლამაზი სოფელი ქედლები. აქ შრომისმოყვარე, აქტიური პიონერები ცხოვრობენ.

ქედლების 8-წლიან სკოლაში სტარტი აიღო მარშის ახალმა ეტაპმა. ისე, როგორც ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხეში, ქედლელმა პიონერებმაც ხაზზე ყურადღებით მოისმინეს ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერთა ორგანიზაციის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის ა. ფედულოვას სიტყვები და პიონერულ სიმაღლეთა დაძლევისთვის მზადებას შეუდგნენ.

ჩვენი კლუბის მორიგ შეკრებაზე ამ სკოლის უფროს პიონერხელმძღვანელს, რაზმეულის ნაცად კომისარს შუშანა თავართქილაძეს ვხვდებით, რომელიც წლების მანძილზე უძღვება რაზმეულის ცხოვრებას.

**შუშანა თავართქილაძე:** — რაზმეულის საბჭომ, სანამ რადიოხაზზე საკავშირო მარშის ახალ ეტაპს მიეცემოდა სტარტი, ოთხივე რაზმის ყველა პიონერს გააცნო მარშის პროგრამა. ამის შემდეგ პიონერებმა თავიანთი სიმაღლეების მიხედვით განსაზღვრეს სამოქმედო პროგრამა.

— მარში ჩვენ რაზმს კვლავაც გაუძღვება ერთი სიმაღლიდან მეორისაკენ! — ასე აღიქვეს პიონერებმა მარშის ახალი ეტაპი, მათ იციან, რომ სიმაღლეთა თანამიმდევრობით დაძლევის კვალდაკვალ თითოეულის რაზმი უფრო მეგობრული, დამოუკიდებელი, ორგანიზებული უნდა გახდეს; თითოეული პიონერი [illegible] კიდევ უკეთესი საქმით, [illegible] რით.

8-წლიანი სკოლის რაზმეული ცნობილი კოსმონავტის ვალერი ბიკოვსკის სახელობისაა. პიონერებმა შარშან საკავშირო მარშის პირველ ეტაპზე დაიწყეს საბჭოთა კოსმონავტიკის ისტორიის გაცნობა, იგი კვლავ გრძელდება; ოთხივე რაზმი დაუკავშირდა „ვარსკვლავეთს“, მიმოწერა დაამყარეს კოსმონავტებთან. ამზადებენ მათი ცხოვრების ამსახველ ალბომებს. რაც მთავარია, პიონერებმა მისწერეს მათ: — ჩვენი რაზმეულის ოთხივე რაზმი მარჯვენაფლანგელია. ჩვენთან ყველა კარგად სწავლობს.

მისწერეს, რომ როგორც შარშან, პიონერულმა აქტივმა წლეულსაც გადაახალისა პიონერთა ოთახი. საქართველოსა და რუსეთის დაძმობილების თარიღის — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი კუთხე მოაწყვეს. აქ საქართველოსადმი მიძღვნილი რუსი ავტორების წიგნებიც გამოფინეს.

მისწერეს, რომ ისინი მშობლიური სოფლის ბუნებას უდგანან დარაჯად. უფრთხილდებიან კანოს მთის ნაძვნარს — რადგან მთის სოფელს მეწყერი ემტერება, ხეთა ფესვები კი მიწას აკავებს, ამიტომ ხეებს რგავენ და უვლიან.

რაზმეული და მისი საბჭო კოლმეურნეობასაც ეხმარებიან. სულ მათი გაწმენდილია ღურღულეთში ქვა-ღორღისაგან მიწის ნაკვეთები.

რაზმეულის საბჭოსთან მოქმედებენ ნორჩ ძერჟინსკელთა, ყაირათიანთა რაზმები, ინტერნაციონალური მეგობრობის, გონივრული გართობის, საინტერესო შეხვედრების კლუბები, ნორჩ მხარეთმცოდნეთა შტაბი, „სასწრაფო დახმარების“ ეკიპაჟები; პიონერები მონაწილეობენ საკავშირო ექსპედიციაში „სსრ კავშირი ჩემი სამშობლოა!“ ამზადებენ შეკრებებს: „ლენინური მეგობრობით ვართ ძლიერნი“, „ჩვენი შრომა ერთვის რესპუბლიკის შრომას“, „15 ვარსკვლავით გაბრწყინებული დე-

და-სამშობლოვ, მუდამ მზიანო“, „ჩვენ მომავალი კომკავშირელები ვართ!“ „ერთიან ძმურ ოჯახში“, „ყველაფერში დისციპლინა და წესრიგი, აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია.“

აქაურმა პიონერებმა, ჩვენი ქვეყნის მოძმე რესპუბლიკების ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილებმა წარმოადგინეს შარშან, მეგობრობის ფესტივალზე 15-ვე რესპუბლიკა. ფესტივალი ტრადიციულია და კვლავ მოეწყობა.

ბავშვები სკოლის ბიბლიოთეკის დიდი მეგობრები არიან. ხშირად ეწყობა მკითხველთა კონფერენციები. ერთ-ერთ ასეთ კონფერენციაზე განიხილეს ლ. კოსმოდემიანსკაის „ზოიასა და შურას ამბავი“, ა. გაიდარის „თემური და მისი რაზმი“, ნ. კრუპსკაიას „წერილები პიონერებს.“

რაზმეულის საბჭომ და მისმა აქტივმა ისე წარმართეს მუშაობა — ვერავის ნახავთ, რომ პიონერული დავალება არ ჰქონდეს, ამას ხელს ისიც უწყობს, რომ რგოლისა და რაზმის შეკრებაზე ხშირად ეწყობა პიონერთა თვითანგარიშები. ამით კონტროლი ეწევა იმას, თუ როგორ ასრულებს რაზმის თითოეული წევრი მიცემულ სიტყვას. პიონერული აქტივის სკოლის მეცადინეობებზე, სადაც აქტივი პიონერული მუშაობის სხვადასხვა საკითხზე რჩევა-დარიგებებს იღებს, განიხილავენ ხოლმე, არის თუ არა პიონერი თავისი სიტყვის ერთგული.

რაზმეულს მეგობრობა აკავშირებს ქალაქების გორლოვკის მე-5 და სეროვის მე-12 სკოლებთან, პიონერებმა გეორგიევსკის მე-5 სკოლასთანაც დაამყარეს ურთიერთობა.

კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციებისათვის ვ. ი. ლენინის სახელის მინიჭების 60 წლისთავთან დაკავშირებით აქტივმა პიონერები დარაზმა და ახლა ისინი სოფლის პირველ პიონერებსა და კომკავშირელებს ხვდებიან. ქედლების 8-წლიანი სკოლის პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების ისტორიას ადგენენ.

ჩვენი პიონერები აქტიურად მონაწილეობენ მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი რესპუბლიკური კონფერენციის პიონერულ სექციაში. პიონერების ვ. ჯორბენაძისა და ნ. ჯორბენაძის მიერ ამ სექციაზე წაკითხულმა თემებმა პიონერთა რესპუბლიკური სასახლის სიგელები დაიმსახურა. რაზმეულის უფროსი ასაკის პიონერები ემზადებიან, რომ მიიღონ მონაწილეობა გამოფენა-კონკურსში „ნორჩი ტექნიკოსები — სამშობლოს“. ადრე კი დიდი წარმატება ხვდა მათ მიერ დამზადებულ ელექტროწისქვილის მოქმედ მოდელს, ესტაფეტაა ფიზიკასა და მათემატიკაში, სკოლის შენობის მაკეტსა და კითხვა-პასუხის ელექტრომანქანებს.

ჩემი სოფლის პიონერებს ახსოვთ პარტიის მოწოდება:

— იყავ მებრძოლი ლენინის საქმისათვის!

— აღიზარდე მოქალაქედ!

— ბავშვობიდანვე ისე შეეჩვიე მუშაობას, რომ შენი შრომა ყოველთვის სჭირდებოდეს ხალხს.

— ახალგაზრდობიდანვე გამოიწვრთნე, გაუფრთხილდი შენს ჯანმრთელობას!

— გაალვივე შენში მშვენიერების გრძნობა, ეზიარე მხატვრულ შემოქმედებას!

ამის შესრულებაში მათ ეხმარება მარშის ახალი ეტაპის მარშრუტები.

## უცხოური იუმორი

●

დღეს დილას დედამ კარლი რომ დასაქმა, ბიჭუნა აბუზღუნდა:

— სულ მე უნდა ვაკეთო ყველაფერი?! გუშინ შეშა დავჭერი, გუშინწინ წყალი მოვიტანე და მაღაზიაში გაგეგზავნე, გუშინწინისწინ კი სარდაფიდან ნახშირი ამოგიტანეთ!

დედამ საყვედურით შეხედა და თვითონ წავიდა საფუნთუშეში პურის მოსატანად.

რამდენიმე ხნის შემდეგ, ბინა რომ გაარემონტეს და ხელოსნებმა მამამისს შესრულებული სამუშაოების წერილობითი ანგარიში წარუდგინეს, კარლიც იქ იყო...

მეორე დღეს ოჯახის წევრები სადილოდ მაგიდას რომ შემოუსხდნენ, დედამ კარლის თეფშის გვერდით ქაღალდის ფურცელი დაინახა. ზედ ეწერა

**ანგარიში:**

შეშის დაჭრა — 1 მარკა;
წყლის მოტანა — 50 პფენიგი;
მაღაზიაში წასვლა — 50 პფენიგი;
სარდაფიდან ნახშირის ამოტანა — 1 მარკა.

სულ — 3 მარკა.

დედას ხმა არ ამოუღია.

ვახშმობის დროს თავისი თეფშის გვერდით კარლმა თვალი მოჰკრა სამ მარკას და ქაღალდის ფურცელს, რომელშიც ეწერა

**ანგარიში:**

ათ წელიწადს დედობრივი სიყვარულისათვის — არაფერი;

ათ წელიწადს კვებისათვის — არაფერი;

ათ წელიწადს ჩაცმა-დახურვისათვის — არაფერი.

სულ — არაფერი...

●

— ჩემი ვაჟიშვილი ძალიან ფრთხილი და დაკვირვებული დასტაქარია,— დაიტრაბახა მეზობელთან ქალბატონმა მაიერმა, — თითქმის უკვე სამასი ოპერაცია გააკეთა და ერთხელაც არ გაუჭრია ხელი.

●

— უცნაურია, ჩემო ბატონო, თქვენ ამბობთ, ეს პიანინო ჩინებულ მდგომარეობაშიაო და ყველა კლავიში კი ყვითელი აქვს.

— საქმე ის არის, რომ სპილო, რომლის ეშვებისაგანაც ეს პიანინოა დამზადებული, ბევრ თამბაქოს ეწეოდა.

გერმანულიდან თარგმნა
შ. ამირანაშვილმა



ე. ლობინი

# ეპისკოპოსი და კატორღელი

მხატვარი ზ. ფორჩხიძე

ვიქტორ ჰიუგოს ცნობილი რომანი „საბრალონი“ 1862 წელს გამოვიდა. რომანმა შეაძრწუნა ფრანგი მკითხველი. ფრანგიც და ბევრი სხვაც...

წიგნის წაკითხვისთანავე გამოჩენილმა ფრანგმა ჟურნალისტმა არმან დე პონმარტენმა საჭირო ცნობები შეკრიბა და სასწრაფოდ ქალაქ გრასეში გაემგზავრა. აქ, პატარა ქალაქის მყუდრო თავშესაფარში, სადაც მშვიდად და აუღელვებლად ატარებდნენ სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს სასულიერო პირნი, მან 86 წლის მოხუცი კანონიკი ანჟელენი მონახა.

რა კავშირი აქვს ერთმანეთთან ამ მეტისმეტად არატოლფასოვან ფაქტებს?

სწორედ ამის თაობაზე მინდა გიამბოთ.

„საბრალონის“ გამოქვეყნებამდე ოცდათხუთმეტი წლით ადრე ახალგაზრდა ლიტერატორი ვიქტორ ჰიუგო დაინტერესდა მონსენიორ მიოლიზე გავრცელებული ხმებით. მიოლი ქალაქ დინეს ეპისკოპოსი იყო და 1818 წელს გარდაიცვალა. კეთილმა ბუნებამ, უანგარობამ და მრავალმა სხვა სიკეთემ, რაც, ეტყობა, უმაღლესი სასულიერო წოდების წარმომადგენელთათვის საკმაოდ იშვიათ თვისებებად ითვლებოდა, მას საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა მოუპოვა.

კეთილ ეპისკოპოსზე ფიქრი მთლიანად დაეუფლა ახალგაზრდა ლიტერატორის გონებას და რომანის შექმნაზე იწყო ფიქრი, სათაურიც მოუგონა — „ეპისკოპოსის ხელნაწერი“, და ასეთ წიგნზე ხელშეკრულებაც დაუდო ერთ-ერთ გამომცემელს.

მაგრამ ამგვარი არაფერი დაუწერია და მაინც ის ნაღვერდალი საბოლოოდ არ გამქრალა. თხუთმეტიოდე წლის შემდეგ ჰიუგო კვლავ მიუბრუნდა დინელ მონსენიორს. სწორედ ეპისკოპოს მიოლის თვისებებით დააჯილდოვა მან „საბრალონის“ ერთ-ერთი ცენტრალური პერსონაჟი — ეპისკოპოსი მირიელი.

მწერლის ფანტაზიას მიოლის ცხოვრებაში მომხდარმა ერთმა რეალურმა შემთხვევამ შეასხა ფრთები. ეს იყო ეპისკოპოსის და კატორღელის შეხვედრა.

კათოლიკური ეკლესიის მღვდელმთავარს გული მოუკლა გალერებზე მომუშავე მსჯავრდებული კაცის ბედმა. მღვდელი ჩაერია განწირული ადამიანის ბედ-იღბალში და კეთილშობილური საქმე აღასრულა.

კატორღელს პიერ მორენი ერქვა.

რომანში მას ჟან ვალჟანი დაერქვა.

ოცი წლის მორენმა იქურდა. სასოწარკვეთამ აიძულა ექურდა — შვიდი დისშვილი შიმშილით ეხოცებოდა და ამიტომ პიერმა საფუნთუშის ფანჯარას გისოსი გამოგლიჯა და პური მოიპარა.

სასჯელი უმოწყალო იყო — ხუთი წლის კატორღა.

როცა რომანმა „საბრალონი“ დღის სინათლე იხილა, არც დინელი ეპისკოპოსი და არც მორენი ცოცხლები აღარ იყვნენ.

მთელი საფრანგეთი აღტაცებული და მოხიბლული კითხულობდა რომანს. მლიქვნელური კონსერვატორული კრიტიკა კი თავს ესხმოდა და თათხავდა რომანს, რომელშიც ჰიუგომ ასეთი სითამამით გააშიშვლა ფულიანი საზოგადოების პირშეუკრავი წყლულები.

განსაკუთრებული თავდსხმა განიცადა ჟან ვალჟანის სევდიანმა ამბავმა.

— როგორ! — ბობოქრობდა კრიტიკა, — საფრანგეთში მოსამართლემ კატორღა მიუსაჯა კაცს, რომელსაც შიმშილმა პური მოაპარინა? ყოვლად შეუძლებელია, სიმართლეს მოკლებულია! ეს ცილისწამებაა საფრანგეთის კანონებზე, საფრანგეთის სასამართლოზე, საფრანგეთის საზოგადოებრივ წყობაზეო!

სინამდვილეში კი პიერ მორენისათვის გამოტანილი განაჩენი არც ერთადერთი იყო და არც შემთხვევითი.

ჰიუგოს არქივში შენახულია ამონაწერი სასამართლოს რეგლამენტიდან: მინიშნებულია ის დანაშაულობანი, რომლებიც კატორღით ისჯება. სიაში აღნიშნულია „ქურდობა შემტვრევით“. მოსამართლეები მოვალენი არ იყვნენ გამოეძიათ გარემოება ან დამნაშავის პიროვნება. გატეხვით ქურდობის ფაქტს თავისთავად მოჰყვებოდა კატორღის განაჩენი.

სამწუხაროდ, გაუგებარი დარჩა, როგორ მოახერხა

ჟურნალისტმა პონმარტენმა დაადგინა, რომ ცოცხალი იყო მისი უწმინდესობის მიოლისა და პიერ მორენის დიდი ხნის წინანდელი შეხვედრის მოწმე, უხუცესი კანონიკი ანჟელენი. ის ანჟელენი, რომელიც ახალგაზრდობაში დინელ ეპისკოპოსთან მდივნად მუშაობდა. შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ რა მოტივებმა აღძრეს პონმარტენს სურვილი, დაეწყო, იურისტების ენაზე რომ ვთქვათ „კერძო გამომძიებლობა“, უპირველეს ყოვლისა, გამოცდილ და ფხიან ჟურნალისტს ალბათ უნდოდა თავისი გაზეთის მკითხველებისათვის მიეწოდებინა საინტერესო ინტერვიუ ეპისკოპოსისა და კატორღელის სენსაციური შეხვედრის ცოცხალ მოწმესთან.

იქნებ ჟურნალისტს ძალიან მოუნდა გამოსარჩლებოდა განდევნილ მწერალს. სახეში მიეხალა რეაქციული ხროვისათვის, რომელიც ასე სდევნიდა და შხამავდა უდიდეს რომანისტს, ბოროტი ბრალდების უარმყოფელი ფაქტი. — მაშ თქვენ ფიქრობთ, რომ დაუჯერებელია პურის მოპარვისათვის ასეთი არაადამიანური განაჩენი გამოეტანა სასამართლოს? აჰა, ინებეთ ცოცხალი ადამიანის ჩვენება, რომლის უტყუარობაში ეჭვის შეტანას ვერ გაბედავთ, რადგან მოწმე პატივსაცემი სასულიერო პირია, კანონიკი.

პონმარტენმა მოახერხა კანონიკ ანჟელენის ადგილსამყოფელის დადგენა.

ჟურნალისტი ჭაღარა, თავაზიან მოხუცთან მიიყვანეს. ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ წელთა სიმრავლის მიუხედავად კანონიკს ნათელი გონება და მშვენიერი მეხსიერება შერჩენოდა.

ღვთისმსახური პატიოსანი და სანდო მოწმის შთაბეჭდილებას სტოვებდა. ფანტაზირების მოყვარული არ ჩანდა. დინჯად, გულმართლად და უბრალოდ ყვებოდა იმაზე, რაც თავს გადახდენოდა, და რაც თავისი თვალით ენახა. მრავალი წვრილმანი საოცარი სიცხადით ახსოვდა, შესაძლებელია იმიტომაც, რომ ის ღირსსახსოვარი



ამბები მართლაც არაჩვეულებრივი იყო და ეპისკოპოსისა და მისი მდივნის მშვიდსა და მდორე ცხოვრებაში განსაკუთრებით გამოირჩეოდა.

საგულდაგულოდ ჟურნალისტური სიმკვირცხლითა და ბრწყინვალებით (მე მგონია შინაგანი აღტაცებითაც) ჩაიწერა პონმარტენმა კანონიკის მონათხრობი.

შემოდგომის საღამოს მონსენიორ მიოლი და ანჟელენი ვახშმის მოლოდინში მაგიდას უსხდნენ. ეპისკოპოსის ფეხებთან უდარდელად სთვლემდა ბებერი ძაღლი მედორი.

საუბრობდნენ ეპისკოპოსის ძმაზე, ნაპოლეონის არმიის გენერალ მიოლიზე, რომელმაც ბოლო ბრძოლებში ბრწყინვალედ გამოიჩინა თავი. გაზეთები აღტაცებით წერდნენ მასზე, და ეს ძალიან ახარებდა ეპისკოპოსს.

მოხუცმა მსახურმა როზალიმ მაგიდა გააწყო და გავიდა.

მოულოდნელად კარზე მკვეთრი კაკუნი გაისმა.

გამოღვიძებულმა ძაღლმა შიშნეულად დაიყეფა, მერე გაბმით დაიყმუვლა.

— დამშვიდდი, მედორ, — დააწყნარა ეპისკოპოსმა. — როზალი, კარი გააღეთ.

ოთახში ოცდაათიოდე წლის ბეჭგანიერი, ახოვანი კაცი შემოვიდა. მისი გარეგნობა მაინცდამაინც ვერ იწვევდა ნდობას.

და მაინც უფრო მეტად კაცი დაბეჩავებულად, შიშილისა და დაღლილობისაგან დატანჯულად გამოიყურებოდა. მის სახეზე აღბეჭდილი დაბნეულობა სულ არ ესადაგებოდა მის ღონიერ მხარ-ბეჭს და გოლიათურ აღნაგობას. შუბლიდან ღვარად ჩამოსდიოდა ოფლი. მიოლის დიდებულების წინაშე იგი როგორღაც ჩაქრა. რამდენიმე გაუგებარი ფრაზა ძლივს წაიბურტყუნა.

ხუთწლიანი კატორღიდან გათავისუფლებული მგზავრი მთელი დღე ფეხით მოდიოდა ქალაქისაკენ... თავშესაფარი ვერსად იშოვა. ამაოდ აკაკუნებდა სასტუმროს კარზე. „კატორღელის“, თუნდაც ყოფილი კატორღელის სახლში შეშვება არავის უნდოდა. არც ლუკმა გაიმეტა ვინმემ...

ეკლესიიდან გამოსულმა მოხუცმა ქალმა მიოლის სახლისაკენ მიასწავლა გზა.

ახლა იგი დაკვირვებით მისჩერებოდა მასპინძლებს. ეტყობოდა, არც ამ მღვდლებისაგან ელოდა უკეთეს მიღებას. — დამშვიდდით, მეგობარო! — წყნარად თქვა ეპისკოპოსმა.

ჟურნალისტი გატაცებით უსმენდა ანჟელენს, და როგორც მისი პროფესიის ხალხს სჩვევია, დაჟინებით აკვირდებოდა მთხრობელს.

„—ო, ჩემო ბატონო, — კანონიკის ხმაში მღელვარება ისმოდა — ასე მგონია, ამდენი წლის შემდეგაც მესმის ის ხმა, მოწყალებით, უბრალოებით და ადამიანურობით აღსავსე ხმა, ის კურთხეული ხმა სულში აღწევდა, გულს სწვდებოდა, ამშვიდებდა და აჯერებდა, რომ ამ ქვეყნად რჩებოდა რწმენა და იმედი“..

„მეგობარო, მეგობარო!“ ისე იმეორებდა პიერ

მორენი, თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებოდა, თითქოს მისი ვაჟკაცური, დაღვრემილი სახე რაღაცამ გააცისკროვნა. ძლივსშეკავებული ცრემლი აუკიაფდა წამწამზე.

პიერ მორენმა იქ მყოფთ თავი გააცნო და უამბო, როგორ მოხვდა კატორღაში, როგორ უგულოდ მოექცნენ გათავისუფლებულს სასტუმროს მეპატრონენი.

— აი, აქ დაბრძანდით, — უთხრა ეპისკოპოსმა და ქათქათა სუფრაგადაფარებულ მაგიდასთან მიიპატიჟა.

— როზალი, კიდევ შემოიტანეთ თეფშები!

კატორღელს სახე გაუნათდა, იგი ერთდროულად განცვიფრებასაც გამოხატავდა, უხერხულობასაც და მადლიერებასაც. მანამდე კი, უნდობლობა ეხატებოდა სახეზე, ვაითუ, ეს ყველაფერი ტკბილი სიზმარია და ახლა კი გამომეღვიძოსო.

მაგრამ აი, როზალიმ მაგიდასთან სკამი მიდგა და მესამე კაცისთვისაც დაალაგა თეფშები.

იგი ხარბად ჭამდა, სრულებით არ ცდილობდა დაემალა ეს სიხარბე.

კარგად რომ დანაყრდა, პიერ მორენმა მერეღა იგრძნო, რა საშინლად იყო დაღლილი და გაწამებული. ფეხზე ძლივსღა იდგა. მონსენიორმა გამოუცხადა, რომ დერეფნის ბოლოს მისთვის გამოყოფილ ოთახში ლოგინი ელოდებოდა.

— მეგობრისათვის განკუთვნილ ოთახში, — დაუმატა ეპისკოპოსმა, რაკი იხილა, რა სასწაულმოქმედ შთაბეჭდილებას ახდენდა ეს საალერსო სიტყვები მოულოდნელი სტუმრის „დამახინჯებულსა და დაცარიელებულ სულზე".

როგორ წააგავს ეს ყოველივე „საბრალონის" ანალოგიურ თავებს!

ვიქტორ ჰიუგოსათვის მეტისმეტად ძვირფასი იყო ეს არაჩვეულებრივი შემთხვევა, რომელიც მაშინ უამბეს და რომელსაც ამდენი წელი გულმოდგინედ ინახავდა მისი მეხსიერება. ინახავდა მანამ, სანამ იგი მხატვრულ სინამდვილედ არ ჩამოყალიბდა.

მაგრამ... ერთი „მაგრამ" მაინც არის.

აქ პონმარტენის ნარკვევის პირველ გვერდს უნდა დავუბრუნდეთ.

ჟურნალისტის სიტყვით, როცა იგი ანჟელენის ოთახში შევიდა, კანონიკს მაგიდაზე „საბრალონი" ედო.

— დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმა, რომ კანონიკმა უდიდესი ყურადღებით წაიკითხა რომანი და ბენვენიუ მირიელში აღმოაჩინა ყველა თვისება იმ ეპისკოპოსისა, რომელთანაც თვითონ მსახურობდა. — დაასკვნის ჟურნალისტი.

ნელ-ნელა ხომ არ გვიჩნდება რაღაცის ეჭვი?

ანჟელენის ნაამბობის მსგავსება რომანის შესაბამის ადგილთან პირდაპირ გასაოცარი, თვალშისაცემია.

რით არის ეს მსგავსება გამოწვეული?

ეგებ სულაც არა იმით, რომ ჰიუგო კარგად იცნობდა დინის ეპისკოპოსისა და კატორღელის პირველი შეხვედრის ყველა წვრილმანს?

ეგება ყველაფერი პირიქით მოხდა?

რომანი, რომელშიაც მირიელის სახელით მონათლული ეპისკოპოსია გამოყვანილი (ეს ამბავი ფართოდაა ცნობილი), რაღა თქმა უნდა, უდიდეს შთაბეჭდილებას მოახდენდა კანონიკ ანჟელენზე. ხომ შეიძლებოდა კანონიკს დიდი ხნის წინათ მომხდარი შემთხვევისათვის (ეჭვიც არ გვეპარება, რომ უნებურად) მიეწერა იმ სცენის ყველა დეტალი, რაც რომანისტმა ასე გამოკვეთილად ასახა.



ასეთი შიში სავსებით კანონიერია.

მაშინ ალბათ საჭირო აღარც არის კანონიკის ნაამბობის დასასრულის მოსმენა. ჩვენ ხომ მშვენივრად ვიცით, რა მოჰყვება ამ ამბავს რომანში.

ჟან ვალჟანი სუფრის ვერცხლეულს იპარავს. ხელში უვარდება ჟანდარმებს, ხოლო ეს უკანასკნელნი მას ეპისკოპოსთან აბრუნებენ, რათა ქურდობაში ამხილონ. ეპისკოპოსი კი აცხადებს, ვერცხლის დანა-ჩანგალი ჟან ვალჟანს მე თვითონ ვაჩუქეო.

— „მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია გავათავისუფლოთ იგი? — იკითხა უნტერ-ოფიცერმა.

— რა თქმა უნდა, — უპასუხა ეპისკოპოსმა.

ჟანდარმებმა გაუშვეს ჟან ვალჟანი, რომელმაც გაოცებისაგან უნებურად უკან დაიხია.

— ნამდვილად მიშვებენ? — ისე წარმოთქვა, თითქოს ძილში ლაპარაკობდა.

— გიშვებენ, ვერ გაიგე-განა? — უპასუხა ერთ-ერთმა ჟანდარმმა."

როგორც გვახსოვს, ეს სცენა ამით არ თავდება.

— „მეგობარო, — თქვა ეპისკოპოსმა, — წასვლისას თქვენი შანდლების წაღება არ დაგავიწყდეთ, აი, აქ აწყვია".

უდიდესი ადამიანურობითა და უკიდეგანო სიკეთით ალსავსე ამ სიტყვებმა პატარაობიდანვე დაგვიდაღეს გული.

მონსენიორ მირიელი ბუხართან მიდის, შანდლებს იღებს და ჟან ვალჟანს აწვდის.

შანდლების სცენა „საბრალონის" ყოველი წამკითხველის გონებაში სამუდამოდ იბეჭდება. ამ ვრცელი, მრავალთავიანი რომანის ცხრა მეათედი ნაწილიც (უფრო მეტიც) რომ მიეცეს დავიწყებას, ამ სცენას მაშინაც შემოინახავს მეხსიერება.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ კანონიკის მეხსიერებას მსგავსიც კი არაფერი შემოუნახავს.

არავითარი შანდლები არ არსებობდა.

არც ქურდობა იყო, არც დიდსულოვანი გაჩუქება.

ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა. მეორე დილით ეპისკოპოსი და ანჟელენი ბაღში დასეირნობდნენ.

— რა ვუყოთ ამ საცოდავ ადამიანს? — ხმამაღლა ფიქრობდა შეწუხებული მიოლი.

ფანჯარაში სტუმრის თავი გამოჩნდა.

მორენი ენით გამოუთქმელი მადლიერების, აღტაცების, პატივისცემის, სიყვარულის, მორჩილების და გაღმერთების გრძნობით შესცქეროდა ეპისკოპოსს.

ბაღში გამოსვლისთანავე მოწიწებით მიესალმა მასპინძელს, რომელიც გუშინ უბრალო მღვდელი ეგონა.

— როზალიმ მითხრა, ეპისკოპოსი ბრძანებულხართ, — ბურტყუნებდა დაბნეული ნაკატორღალი, — მაპატიეთ, არაფერი ვიცოდი.

ახლა კი სავსებით აღვიდგინეთ ნდობა ანჟელენის მონათხრობისადმი.

ჟურნალისტთან საუბრის დროს, ანჟელენი, ნებსით თუ უნებლიეთ, რომანის სიუჟეტს რომ აჰყოლოდა, განა გული გაუძლებდა გვერდი აევლო იმ გასაოცარი გადახვევისათვის, რომელიც წიგნშია აღწერილი?

ნუთუ არ გაიხსენებდა იმ დიდსულოვან პატიებას, იმ შანდლებს, რომლებიც დინის ეპისკოპოსის მაღალ ზნეობაზე მეტყველებენ, ეპისკოპოსისა, ვისაც ანჟელენი მთელი სიცოცხლის განმავლობაში აღმერთებდა!

მაგრამ რად ვანიჭებთ ასეთ დიდ მნიშვნელობას ამ ამბავს?

იმიტომ, რომ ამ ამბავმა გარკვეული ზღვარი გაავლო იმას შორის, რაც ნამდვილად მოხდა და რამაც მხატვრული გარდასახვა განიცადა, ჩვენ კი მოგვცა გასაღები, რათა კარი შეგვეხსნა და ერთი წამით მაინც შეგვეჭყიტა იმ საიდუმლო არეში, რასაც მწერლის ფანტაზია ჰქვია.

აი, ხელთა გვაქვს რეალური მოვლენები... ვიქტორ ჰიუგოს ისინი თითქმის შეუცვლელად, უმცირესი შტრიხების სიზუსტით შეაქვს რომანის ქსოვილში... სხვა ამბები მას არ სჭირდება. იგი ყურადღებას არ აქცევს მათ. ფაქტობრივი დეტალების გვერდით, მათთან ლამის გადაჯაჭვულია უდიდესი და უმძლავრესი აღმაფრენა შემოქმედებითი ფანტაზიისა. შევეცადოთ ამ სახეთა ქსოვილის ამოცნობას. ეგებ ამ გზით გავარკვიოთ ჰიუგოს მხატვრული ჩანაფიქრი.

პიერ მორენის რეალური ისტორიიდან რომანში ეპისკოპოსთან ნაცნობობის მხოლოდ პირველი საღამო შევიდა. მიუხედავად იმისა, რომ მისი ცხოვრების დანარჩენი ნაწილი დრამატიზმითაც იყო სავსე და ამაღელვებელი თუ გულის ამჩუყებელი მომენტებითაც მდიდარი.

ეპისკოპოსმა სტუმარს პროფესია ჰკითხა. მორენმა ცოტაოდენი ხარატობა და წითელი ხის ხელობა იცოდა.

— სამუშაოსი არ მეშინია, — იმეორებდა მორენი, — მინდა პატიოსანი ვიყო, მაგრამ ვინ მენდობა, ვინ მიმიღებს ყვითელპასპორტიან „მუდმივ კატორღელს“. არც ერთი დუქნის, არც ერთ ქარვასლის ზღურბლთანაც კი არ მიშვებდნენ, ჩემს ფულს ზედაც არ უყურებდნენ. ასე იქნება ყველგან და ყოველთვის. ყველგან სირცხვილი, სიძულვილი და „მომწყდი თავიდან“ დამხვდება!

მიოლი თავისი უბედური სტუმრისადმი ნდობით განიმსჭვალა, თავის ძმას, გენერალ მიოლის გაუგზავნა იგი სარეკომენდაციო ბარათით. გენერალმა სალაშქრო ჰოსპიტალში მოაწყო მორენი.

პიერ მორენმა დაამტკიცა, რომ ჭეშმარიტად ღირსი იყო ნდობისა.



ერთხელ მტრის ტყვიების სეტყვას არ დაერიდა და გულგანგმირული ლეიტენანტი ბრძოლის ველიდან გამოიყვანა. ახალგაზრდა ოფიცერმა სანიტრის მკლავზე დალია სული.

მკითხველს ალბათ ახსოვს, რომ ჰიუგომ რომანში „საბრალონი“ ეს ეპიზოდიც გამოიყენა. მაგრამ მწერლის წარმოდგენაში ფაქტობრივი მასალა მთლიანად გარდაიქმნა. სულთმობრძავი ოფიცერი ბრძოლის ველიდან ჟან ვალჟანს კი არ გააყვანინა, არამედ ნაძირალა ტენარდიეს.

ტენარდიემ მიცვალებულს მედალი მოხსნა. შემდეგ მოატყუა მარიუსი და ის მედალი ანგარების მიზნით გამოიყენა.

ცხოვრებაში კი პირიქით მოხდა.

გარდაცვალებულ ლეიტენანტს ჯილდოდ მიღებული საათი, ოქროს ძეწკვი და 30 ლუიდორი (600 ფრანკი) აღმოაჩნდა. მთელი ეს სიმდიდრე მორენმა უკლებლივ გადასცა გენერალს.

ჯილდოზე გაგონებაც არ უნდოდა. „ყველაზე უკეთესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯილდო ის იქნებოდა, გენერალი რომ რამდენიმე სიტყვას მისწერდეს ჩემს ეპისკოპოსს"...

მორენის ღირსეული საქციელი გენერალმა ძმას შეატყობინა. წერილში „ჩემი ეპისკოპოსიც" მოიხსენია, რადგან ამ სიტყვებმა განსაკუთრებით აუჩუყეს გული. შეუძლებელია გენერალს არ შეემჩნია ის მღელვარება, რომლითაც ეს ორი სიტყვა იყო წარმოთქმული.

ყოფილი კატორღელი გენერლის დენშჩიკი გახდა. სისხლისმღვრელ ბრძოლებში მორენი იბრძოდა „არა მხოლოდ როგორც მამაცი ჯარისკაცი, რომელიც მოვალეობას იხდის, არა მხოლოდ როგორც ყოფილი კატორღელი, რომელიც პატიოსანი სახელის დაბრუნებას ცდილობს, არამედ ისეთი კაცის ვაჟკაცური თავგანწირვით, რომელიც ბრძოლაში სიკვდილს ეძებს".

1814 წელს ნაპოლეონის დამხობის შემდეგ მორენი ქალაქ დინში ეპისკოპოსის სახლში გამოცხადდა — ჩამოფლეთილ-ჩამოძენძილი, თავით ფეხებამდე გალუმპული. ისევ მიოლთან სამსახური არჩია. როზალის დისშვილი შეუყვარდა, მაგრამ (როგორც კანონიკმა განაცხადა) თავისი „საშინელი წარსულის" გამო ვერ გაბედა სიყვარულში გამოტყდომოდა. თუმცა ის წარსული „ვაჟკაცურად გამოისყიდა", მაგრამ რაკი საკუთარ ცხოვრებას მაინც საბოლოოდ ჯვარდასმულად მიიჩნევდა, მუდამ პირქუში და დარდიანი ისევ ნაპოლეონის დროშას დაუბრუნდა და ვატერლოოს ბრძოლაში მტრის ტყვიით განგმირული დაეცა.

— „საკუთარი წარსულის გამოსყიდვა" — ეს სიტყვები უდიდეს ყურადღებას იმსახურებს.

პიერ მორანი საკუთარი დანაშაულის შეგრძნებით იტანჯებოდა. აზრად არ მოსდიოდა, რომ ის კი არ იყო საზოგადოების წინაშე დამნაშავე, არამედ საზოგადოება იყო დამნაშავე მის წინაშე.

„საბრალონის" მთავარი იდეა სწორედ ამაში გამოიხატება.

დოსტოევსკი მშვენიერად ჩასწვდა ამ აზრს და გამოხატა იგი. მისი სიტყვით ჰიუგოს ნაწარმოების დედააზრი „წაქცეულის წამოყენება იყო, საუკუნეებით განმტკიცებული საზოგადოების უკუღმართობით, გარემოებათა კირთით უსამართლოდ გასრესილისა. ეს აზრი საზოგადოების მიერ ყველა უარყოფილის, დამცირებულის გამართლებაში გამოიხატებოდა."

ჟან ვალჟანის სახეში ვერ ვპოულობთ ისეთ თვინიერ მორჩილებას, არასრულფასოვნობის ისეთ საშინელ შეგრძნებას, რომლებიც ასე აშკარაა პიერ მორენის ხასიათში.

ვიქტორ ჰიუგოს თვალში ჟან ვალჟანი და პიერ მორენი ფრანგი მშრომელი ხალხის, უბრალო ხალხის ბევრი მშვენიერი თვისების მატარებელნი — ტყუპები არიან, მაგრამ ჟან ვალჟანი პიერ მორენზე უფრო სრულია, დიდია. მისი ნებისა და ზნეობის საწყისები უფრო აქტიურია, ჩანაფიქრი — უფრო თამამი, გაქანება — უფრო ფართო; ჟან ვალჟანი ფხიანია, თაოსანი. ძალისა და გასაქანის მოსაპოვებლად შეუდრეკლად იბრძვის, რათა ხალხს საქმით დაეხმაროს და გამოადგეს.

ასეთი ცვლილება განიცადა მორენის იერ-სახემ ხელოვანის შემოქმედებით ქურაში.

დავუბრუნდეთ შანდლების ეპიზოდს.

„შანდლები" იმ პროჟექტორად წარმომიდგენია, ბრწყინვალე სინათლით რომ ანათებს დიდებული გზის ყველაზე საინტერესო უბანს, გზისა, რომელიც რომანტიზმის სახელს ატარებს.

ვერ გავკადნიერდები და ვერ ვიკისრებ ისეთი ძნელი საკითხის გადაწყვეტას, როგორიც რეალიზმის და რომანტიზმის ურთიერთშეფარდებაა. და მაინც მგონია, „შანდლები" დაგვეხმარება გავარკვიოთ ისეთი მეცნიერული ცნებები, როგორიც რომანტიკული სტილი და რომანტიკული მანერაა.

ამ ეპიზოდის სტრიქონებზე ცისარტყელას ყველა ფერით გაბრწყინდა, ათინათინდა რომანტიკული სტილისტიკა.

გუშინდელი მაწანწალა, გუშინდელი კატორღელი დინელი მონსენიორის სავანეში მოხვდა. ასე იყო ცხოვრებაში — უკეთესი ამბის მოგონება შეუძლებელია!

წარმტაცი და მძაფრი სიტუაციაა. სწორედ რომანტიკული სკოლის შესაბამისი, ვიქტორ ჰიუგოსათვის შესაფერისი. ახლა მეორე დღეს მომხდარი ამბები, რომელთაც კანონიკის მოგონებებში ვეცნობით, მეტისმეტად მშვიდობიანად, შერბილებულად ხომ არ მოეჩვენა რომანისტს ის მოვლენები? და ჰიუგომ ისინი სხვაგვარად შეაბრუნა — მკვეთრად, გაბედულად. იმ დრამატულ ღამეს ჟან ვალჟანი უმადურობას იჩენს — გულკეთილ და მადლიან მასპინძელს ქურდავს.

წამოიჭრება კითხვა: წააგავს სიმართლეს მოვლენათა ასეთი შემობრუნება? გამართლებულია ფსიქოლოგიურად ვალჟანის საზარელი საქციელი?

განა საკმარისი არ იყო ეპისკოპოსის ასეთი გულთბილი მასპინძლობა, რათა კატორღელის სულში მადლიერების თესლი გაღვივებულიყო? რათა იქვე მტკიცედ და გადაჭრით დასდგომოდა პატიოსანი ცხოვრების გზას?

არა, არ იყო საკმარისი. ალბათ ასე ეჩვენებოდა რომანისტს.

მე მგონია, რომ ამ კითხვას მწერალი გულში (უფრო ზუსტად ინტუიციით) ასე სვამდა: საკმარისი იქნებოდა ერთი საღამო, რომ იმ კაცის გული გაელღვო, ვისი ცხოვრებაც პატარობიდანვე უსაშინელესმა უსამართლობამ გაანადგურა?

არა პიერ მორენის გული, არამედ ჟან ვალჟანისა, რომლის ხასიათი ვიქტორ ჰიუგოს გაცილებით მკაცრად და მკვეთრად, გაცილებით გაბოროტებულად, ნაკლებდამთმობად, ნაკლებდამყოლად, ნაკლებმშვიდობიანად წარმოედგინა.

მეტისმეტად დიდი წამება გამოიარა ჟან ვალჟანმა კატორღის დაუსრულებელი წლების განმავლობაში.

მის გაწამებულ სულში მეტისმეტად ბევრი ბოღმა და სიმწარე დაგროვდა.

რომანისტს ცხადლივ წარმოუდგა ის მაცდუნებელი შესაძლებლობები, კატორღელის და ეპისკოპოსის უჩვეულო შეხვედრაში რომ იმალებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



განყოფილებას ხელმძღვანელობს
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი
ნოდარ შამანაძე

## ჩემი სოფელი

ჩემს სოფელს ხატავს ბაღები,
ჩაის ბუჩქები, ვაზები —
არის მშრომელთა მარჯვენით
ნაშენი, ნალამაზები.
მე სიყვარული მისადმი
გულში მაქვს დაუტევარი,
ტკბილია, როგორც ბადაგი,
ვით ყურძნის მწიფე მტევანი.

მთქმელი ეთერ რუსიეშვილი (52 წლისა), ჩამწერი ლენა ჩანჩიბაძე, მახარაძე, კონჭკათის საშუალო სკოლა, X კლასი.

## აჭარაში მზე ანათებს

აჭარაში მზე ანათებს,
ამაღლდა ჩვენი კერაო.
გლეხმა მოშალა ქოხმახი,
ოდაში დაიმღერაო,
ახალ ცხოვრებას შეჰხარის,
ცა წითლად დაეფერაო,
დაბლა ტრაქტორი გუგუნებს
და ცაში — რკინის ძერაო,
ავანთეთ ელექტრონები,
რადიომ დაიმღერაო,
იმის სახელმა იდიდოს,
ვინც ლხინი გაგვიბევრაო.

მთქმელი ნური თავდგირიძე (85 წლისა), ჩამწერი ნინო გორაძე, ხელვაჩაური, ერგეს საშუალო სკოლა, VIII კლასი

## ჯინმოუსვლელთა მემორიალი

ვდგავარ და გმირთა სურათებს
ვუმზერ,
ერთი შეხედვით სუყველა ვიცან:
თავისუფლებას თავი შესწირეს,
ვერ მიიბარნენ მშობლიურ მიწას.

გამორჩეულად გულთბილი შეხვედრა, მონსენიორის სახლში რომ მოუწყვეს უბედურ კატორღელს, მისი ცხოვრების შემობრუნების მიზეზად გადაიქცა... ასეთი იდეალური გარდატეხა, რაც პიერ მორენის ცხოვრებაში მოხდა, ჟან ვალჟანის შემთხვევაში არ შეიძლებოდა განმეორებულიყო. მისი სიძულვილი და გაღიზიანებულობა ასე იოლად ვერ გაქრებოდა.

ჟანდარმებმა ვალჟანი სამხილით ხელში დაიჭირეს. მან ეპისკოპოსს ვერცხლი მოჰპარა. ყველაფერი დაინგრა. ცა თავზე ჩამოექცა! ძლივს მოპოვებული თავისუფლება, ნორმალური ცხოვრების იმედი ერთბაშად და სამუდამოდ გაქრა.

წინ ისევ ციხე ელის. მეტიც, კატორღა. დანაშაული მეტისმეტად საზიზღარია. უმაღლესი სასულიერო პირის გაქურდვა. კაცისა, რომელმაც სხვათაგან მოძულებული, უსახლკარო მაწანწალა შეიფარა, კაცისა, რომელმაც სითბო და ალერსი არ დაამადლა.

და ერთბაშად — თითქოს ციდან მოვლენილი ხსნა.

მოულოდნელი ჟანდარმებისათვის, მით უმეტეს მოულოდნელი მკითხველისათვის.

სერვიზი არ არის მოპარული. სერვიზი ნაჩუქარია, ასე აცხადებს ეპისკოპოსი.



კეთილშობილებაა ეს? დიახაც. კაცთმოყვარეობაა? დიახ, რაღა თქმა უნდა. დიდსულოვნებაა? დიახ. უსაზღვრო, უზომო, ლამის უმაგალითო.

მაგრამ რომანისტისათვის ესეც ცოტაა. ამას მეორე მოულოდნელობა მოსდევს. მოულოდნელობა, რომელიც მეხივით გვატყდება თავს და გვაოგნებს!

„მეგობარო, არ დაგავიწყდეთ, წასვლისას თქვენი შანდლები გაიყოლიეთ!"

„თქვენი". თურმე სტუმარს დავიწყებია მონსენიორის მეორე საჩუქარი. მადლობა ჟანდარმებს, რომ მოიყვანეს. ახლა კი აღარ დაივიწყებს და თავისას ყველაფერს წაიღებს.

ასეთი რამის მოგონება მხოლოდ რომანტიკოსს შეეძლო. უფრო სწორედ, ყველაზე დიდ რომანტიკოსს რომანტიკოსთა შორის.

„შანდლებშია" მთელი „მარილი" რომანის მთავარი ეპიზოდისა, რომელსაც ეფექტიანობაში ბადალი არ მოეპოვება.

ჰიუგოს ეწადა, რომ ამ ეპიზოდს გაეოგნებინა მკითხველი, რომ მეხსიერებას სამუდამოდ შემოენახა იგი. და მან მიაღწია კიდეც სანადელს.

თარგმნა მ. შავლიაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქედს არ უხრიდნენ ქარს და
ქარიშხალს,
ბევრი თვითონვე ქარიშხლად იქცა...
გვემახსოვრება მათი ამაგი,
ვფიცავთ მათ ნათელს, მათ სახელს
ვფიცავთ!..

მთქმელი ივანე წიკლაური,
ჩამწერი ლია უაგანაშვილი,
წითელწყარო, ზემოქედის
საშუალო სკოლა, X კლასი.

## მესხეთი

რა სჯობს მესხეთში ზაფხულსა,
კაცის გულს გაახარებსა,
მთები, მინდვრები, ველები
სამოსს იცვამენ მწვანესა.
აქ ომში დამიწებულთა
მუხლთ ვუხრი გმირთა ძვალებსა,
ვინაც კაცთ სახელ-ნამუსი
წყალში არ გადაყარესა,
ხმლის ვადაზე რომ ეძინათ
ვაჟებს, მტრის მლოდინარესა,
სახელ სამშეო გასწირეს,
ძვლებ მიწას მიაბარესა,
ჩაუმქრალ სანთლად აენთნენ
საყვარელ მშობელ მხარესა.

მთქმელი ნიკოლოზ შაქიაშვილი
(61 წლისა),
ჩამწერი ბესიკ შაქიაშვილი,
გურჯაანი, კარდანახის საშუალო
სკოლა, X კლასი.

## ორაზროვანი სიტყვა

ერთმა კაცმა ხარი გაიყვანა ბაზარში გასაყიდად. მივიდა მყიდველი და ჰკითხა, შენი ხარი როგორი ზნისააო?

— მე შენ გეტყვი, უღელში არ გაიწევს, მე შენ გეტყვი, გირქენს, მე შენ გეტყვი, წიხლს გკრავს, — უპასუხა მან.

მყიდველმა გაიფიქრა, ხარი კარგი ზნისა ყოფილაო, იყიდა და შინ წაიყვანა.

მეორე დღესვე იგი გამყიდველს კარზე მიადგა და უსაყვედურა: რატომ მომატყუე, ხარი უღელში რიგიანად ვერ იწევს, რქენიაცაა და წიხლსაც იკვრევინებაო.

— ჩემს სიტყვას რომ დაკვირვებოდი და პირდაპირი მნიშვნელობით გაგეგო, არ მოტყუვდებოდი. ახლა კი ყველაფერი შენს თავს დააბრალეო, — მიუგო გამყიდველმა.

მთქმელი არსენ ბუნიავა (82 წლისა),
ჩამწერი მზია ბუნიავა,
ზესტაფონი, კვალითის საშუალო სკოლა,
VII კლასი.

## როგორ წარმოიშვა გვარი შეყრილაძე

ერთ სოფელში ცხოვრობდა მდიდარი მებატონე. იგი გულქვა და შეუბრალებელი ყოფილა: გლეხებს უზომოდ ჩაგრავდა და ავიწროებდა. შეურაცხყოფილი და დაჩაგრული გლეხები მებატონეს გაურბოდნენ და ტყეში იყრიდნენ თავს. ერთად შეყრის გამო მათ გვარად შეყრილაძე დაირქვეს.

მთქმელი პავლე შეყრილაძე,
ჩამწერი ვალერი გიორგაძე,
თერჯოლა, ზედა საზანოს სკოლა.

## მთის სიყვარული

მთიელი ვარ, მთა მიყვარს,
მთისთვის მიძგერს გული მე,
მთის პატარა ნერგსაც კი
შევხარი და ვუვლი მე.
უფრო მყუდრო სავანე
სხვა სად ვნახო ალაგი,
მამა-პაპამ აქ ჰპოვა
წმინდა ძვალთშესალაგი.
როგორც მუხას ქალაში,
მთაში მიდგას ფესვები,
მუდამ მთაში ვიცხოვრებ.
მთას ვერ ჩამოვეხსნები.

მთქმელი ქრისტინე მინჯარაული,
ჩამწერი ნანული ალანია,
ხობი, ქვალონის საშუალო სკოლა,
X კლასი.

## შენ გაიხარე

ავთანდილ გადინადირა
ქედი მაღალი, ტყიანი,
არც შველი მოკლა, არც ჯიხვი,
არცა ირემი რქიანი.
შენ გაიხარე, ავთანდილ,
კაცი ხარ მართლა ჭკვიანი,
არც შველი მოკალ, არც ჯიხვი,
არცა ირემი რქიანი.

მთქმელი ეკატერინე წიკლაური
(81 წლისა),
ჩამწერი ზვიად წიკლაური,
119-ე საშუალო სკოლა, VI კლასი.

## ანდაზები

- კაცს გამარჯობას რომ ეტყვი, ღიმილიც ზედ დაურთეო.
- ცხენს მათრახი ისე არ უნდა გადაჰკრა, თვითონვე რომ მოგხვდესო.
- ნუ მიირთმევ მასო, რაც ეკუთვნის სხვასო.
- თუ გააკეთებ კარგსო, ის გაგიკაფავს გზასო.
- მწყემსმა თქვა: სინდისი კომბალზე მაგარიაო.
- წყლის მოტანილ ხერგს წყალივე წაიღებსო,
- ცუდად მოხნულს კარგად დაფარცხვა ველარ უშველისო.
- ცრუს სახლი დაეწვა და არავინ დაუჯერაო.
- გაჭირვებაში კარის მეზობელი ძმაზე უმალ მოგეშველებაო.
- ორი ძაღლი ლომს გააქცევს, ათი რაღას არ იზამსო.
- ცეცხლი ისე გააქრე, რომ ბოლი არ აუვიდესო.
- ცუდ მოლაპარაკეს ხალხი ყრუ ჰგონიაო.

მთქმელი ეკატერინე ივანიშვილი (99 წ),
ჩამწერი მანანა შეყლაშვილი,
საჩხერე, გორის საშუალო სკოლა, IX კლასი.

### ფეხით „დედამიწის გარშემო“

ინგლისელმა სტატისტიკოსებმა დაადგინეს, რომ თითოეული ადამიანი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე საშუალოდ გადის 100 000 კილომეტრს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველი ადამიანი ორნახევარჯერ შემოუვლის დედამიწას ეკვატორზე.

### მაცივარი საჭირო არ არის

ტიბეტის ჰავა იმდენად მშრალია, რომ კარაქი და გამომშრალი ახალი ხორცი აქ თითქმის ერთ წელიწადს ინახება ყოველგვარი მაცივრის გარეშე. ტიბეტის მოსახლეობამ არ იცის, რა არის გადამდები ავადმყოფობები — მიკრობები ვერ უძლებენ აქაურ სიმშრალესა და მთის მზეს.

### მფრინავი დრაკონი

მალაის არქიპელაგის კუნძულზე ბინადრობს ხვლიკი, რომელსაც მფრინავ დრაკონს უწოდებენ. როდესაც ხვლიკი გაფრენილი პეპლის დასაჭერად ხიდან ხტება, იგი შლის თავის პარაშუტებს — კანის გვერდითა ნაოჭებს და მაშინ მართლაც რომ ზღაპრულ არსებას ემსგავსება. იგი შეუდარებელი პლანერისტი გახლავთ, ადვილად დაფრინავს ტოტიდან ტოტზე, ხიდან — ხეზე.

მფრინავი დრაკონი ძალზე ჭრელი შეფერილობისაა: ზურგი მუქი წითელი აქვს, მუცელი — მწვანე, პარაშუტები — ყვითელი.

### კატასტროფის მიჯნაზე

წითელი ზღვა ეკოლოგიური კატასტროფის მიჯნაზეა: ტალღებს ნაპირებზე გამოაქვთ ნავთობი, რომელიც ქვიშას ერევა და ილექება. ეს იმიტომ ხდება, რომ როცა გასულ ზაფხულს ერთ-ერთ ტანკერს ზღვის ჭაბურღილიდან ნავთობით ავსებდნენ, დიდხანს ვერავინ შეამჩნია, რომ ტუმბოების მიერ ამოქაჩული ნავთობი გემის ტრიუმში კი არა, პირდაპირ წყალში იღვრებოდა.

ამჟამად გაბინძურებულია ეგვიპტის ზღვისპირა ზოლის 75%.

### როდის არის უმტკივნეულო კბილის ამოღება?

ტკივილის შეგრძნების დონე მარტო ადამიანის ორგანიზმის ინდივიდუალურ თავისებურებებზე კი არ ყოფილა დამოკიდებული, არამედ იმაზეც, თუ დღე-ღამის რომელი საათია! ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ჰამბურგის უნივერსიტეტის კლინიკური განყოფილების მედიკოსები. მათ დაადგინეს, რომ ჩხვლეტისაგან გამოწვეული ტკივილი ყველაზე უფრო მწვავეა დილის 11-12 საათზე. კბილის ტკივილი კი, მაგალითად, ღამითაა აუტანელი. ექიმები მიიჩნევენ, რომ შინაგანი ქსოვილები უფრო ნაკლებმგრძნობიარენი



არიან საღამოს 6 საათის შორიახლო. აი, სწორედ ამ დროს ჯობს მივიდეთ სამკურნალოდ სტომატოლოგთან.

### ყველაფერი — ზომიერად

ცნობილია, რაოდენ სასარგებლოა რძის ნაწარმი, მაგრამ თურმე არა ყოველთვის. გფრ-ში დაადგინეს, რომ იმ პაციენტებს შორის, ვისაც კუჭის წყლული აქვს და რძის დიეტაზეა, ჩვეულებრივზე მეტად ხშირია ინფარქტის შემთხვევები. იმ ავადმყოფებს შორის კი, ვინც რძესა და არაჟანს ზომიერი რაოდენობით ღებულობს, გულ-სისხლძარღვთა მძიმე დაავადების შემთხვევები თითქმის არ შეინიშნება.

### ჰაერი სამი ათასწლეულის წინათ

ჩინელმა სწავლულებმა გამოიკვლიეს ლობნორის ტბის პირას ნაპოვნი ქალის მუმია, რომელიც 3200 წლისა გამოდგა. მის ფილტვებში აღმოჩნდა კაჟისა და ნახშირბადის უმცირეს ნაწილაკთა ისეთი რაოდენობა, როგორიც პნევმოკონიოზის მძიმე ფორმებისთვისაა დამახასიათებელი (ამ ავადმყოფობას ფილტვების, კვამლითა და მტვრით დაჭუჭყიანება იწვევს).

მეცნიერებმა დაასკვნეს, , რომ უძველეს ადამიანთა სამყოფელში — გამოქვაბულებში ჰაერს გამუდმებით აჭუჭყიანებდა პრიმიტიული შუაცეცხლი, რომელსაც პირდაპირ იატაკზე აჩაღებდნენ. გამოქვაბულს კი არც კვამლსადინარი გააჩნდა და არც ვენტილაციის საშუალებანი.

### გრეიპფრუტის სუნი

შვეიცარიელმა ქიმიკოსებმა 100 ლიტრი გრეიპფრუტის წვენისაგან გამოაცალკევეს 7,6 გრამი ნივთიერება, რომელიც ამ ციტრუსოვან ნაყოფს სპეციფიკურ სუნს ანიჭებს. გამოირკვა, რომ ეს ნივთიერება ბუნებაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო სურნელოვანი ყოფილა: საკმარისია ერთ ტონა წყალში ჩავაწვეთოთ გრამის მეათმილიონედი ნაწილი, რომ უკვე ვიგრძნოთ გრეიპფრუტის სასიამოვნო სუნი.

### კანონი კანონია

ინდოეთის შტატ მაჰრაშტრაში გამოცდის დროს ამხანაგისაგან გადაწერაში თუ სხვა თაღლითობაში შემჩნეულ სტუდენტს ნახევარი წლით პატიმრობა ან 500 რუპიით დაჯარიმება ემუქრება; მასწავლებლისათვის, რომელიც საგამოცდო ბილეთების შინაარსს გათქვამს, ორმაგი სასჯელია გათვალისწინებული.

### კლოუნადის სკოლა პატარებისათვის

ინგლისში არსებობს სამთვიანი მოსამზადებელი კურსები, სადაც 12 წლის ასაკამდე ბავშვები ცირკის კლოუნის ხელოვნებას ეუფლებიან. მასწავლებლად აქ პროფესიონალი მსახიობები არიან. ექიმებმა დაადგინეს, რომ ბავშვები, რომლებიც ამ კურსებს ამთავრებენ, თავიანთ თანატოლებზე გაცილებით კეთილები და ხალისიანები არიან.

### მუზეუმს ამჯობინებენ

პარიზული პრესა აღნიშნავს, რომ იზრდება ფრანგების ინტერესი მუზეუმების ექსპოზიციებისადმი. შარშან საფრანგეთში მუზეუმები დაათვალიერა 10 მილიონმა კაცმა, რაც გაცილებით მეტია კონცერტებსა და თეატრალურ სპექტაკლებზე დამსწრეთა რიცხვზე. ყველაზე მეტი დამთვალიერებელი ჰყავთ სახელმწიფო მუზეუმებს — ვერსალსა და ლუვრს. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობენ დროებითი ექსპოზიციები, სეზანის ნაწარმოებთა გამოფენას ყოველდღიურად 4 ათასი დამთვალიერებელი ჰყავდა, მანეს ტილოების სანახავად კი ყოველდღე 8 ათასი კაცი მიდიოდა.

### ნეპტუნსაც აქვს რგოლები?

ხანგრძლივი ასტრონომიული დაკვირვებების შემდეგ ახალი ზელანდიის სწავლულებმა დაასკვნეს, რომ ნეპტუნს აქვს რგოლები, უფრო ზუსტად — ორი რგოლი. თითოეული მათგანის სიგანე დაახლოებით 1900 კილომეტრია, პლანეტისაგან 2700 და 6300 კილომეტრით არიან დაშორებული.

ნეპტუნს მზისაგან 4,5 მილიარდი კილომეტრი აშორებს. მისი დიამეტრი დედამიწისას 3,88-ჯერ აღემატება, მასა კი 17,28-ჯერ. ეს პლანეტა შეუიარაღებელი თვალისთვის უხილავია.

1989 წელს ამერიკული კოსმოსური აპარატი „ვოიაჯერ“ — 2 უნდა მიუახლოვდეს ნეპტუნს. თუ მაშინ ფოტოგრაფიულად დადასტურდება ახალზელანდიელ ასტრონომთა დასკვნა, ნეპტუნი მიემატება იმ პლანეტათა რიცხვს, რომელთა შესახებაც ვიცით, რომ მათ რგოლები აქვთ (ჯერჯერობით ასეთები არიან სატურნი, ურანი და იუპიტერი).

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჟურნალ „პიონერში“ 1983 წელს დაბეჭდილი მასალების

# ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი

## პოეზია

შამფრიანი ს. — აცხადდა ოცნება. № 1; საქართველოს ლაზათია. № 2; ჩვენი ხერთვისი. № 4; სიყმაწვილის სურათებიდან. № 6.
ნიჟარაძე ე. — საახალწლოდ თქმული. № 1.
პრიხოდკო ვ. — თოვლის ფიფქი; ტყე. № 1.
არაბული ა. — საქართველოს სადიდებლად თქმული. № 2.
მეტრეველი გ. — მამის წერილები ჯარისკაცს № 2.
ნადირაშვილი ე. — სარვამარტო მისალოცი; გულადი ყვავილი; ბებოს თორნე; დედისერთას გასაჭირი. № 3.
წერეთელი გ. — ერეკლესაგან 300 არაგველის დატირება. № 3.
ფორჩხიძე შ. — დაიხსომეთ, ანდერძს გიწერთ; მზემ სიცილი გაახშირა; მოფერება უნდა ტყეს! № 3.
მეგრელიშვილი ა. —სიმღერა მამულზე; სიცოცხლემ გამოიღვიძა № 4.
მეზურიშვილი ტ. — ბავშვობისდროინდელი ნადირობის გახსენება; თავდადების წილ. № 4.
ჭიჭინაძე გ. — ნაბოლარა ყვავილი. № 4.
ამირანაშვილი შ. — სიბრძნის შუქი. № 4.
ასათიანი ლ. — საპირველმაისო № 5.
ივარდავა დ. — ყარსის ბრძოლა. № 5.
ჭინჭარაული ქ. — პარტიას, კომკავშირს ვუსწორებთ მხარს. № 7.
აფციაური ი. — ჩემი ოცნება; მწყემსი გიგლა. № 7.
შამანაძე ნ. — ლექსები. № 8.
გველესიანი ო. — კვლავ გუგუნებს დიდი ზარი. № 9.
შერაზადიშვილი ზ. — ძეგლევი. № 9.
ნიშნიანიძე შ. — დგას საქართველო სულ სხვა სიმაღლის. № 10.
ტიხონოვი ნ. — ცისარტყელა საგურამოში. № 10.
სოლოუხინი ვლ. — უსათაურო № 10.
ზარათაშვილი ნ. — ბედი ქართლისა. № 10.
გეწაძე ა. — ჩუქურთმების სიმღერა; დილა; ძეგლი; სულხან-საბას ეპიტაფია; № 10.
კილასონია ნ. — ბებო მარიამი; ავარია კლასში; დასჯილი კარნახი. № 11.
ჯანგულაშვილი თ. — თვალწინ მიდგას. № 11.
ჩხეტიანი მ. — გახსენება. № 12.

## პროზა, დრამატურგია

კაპიცა პ. — აჯანყება დაიწყო. № 1.
გეწაძე ა. — ღრუბლების მომშინაურებელი. № 1.
ჭანტურია ვ. — როგორა ხარ, შაშვო? № 1.
ჩხაიძე ზ. — ჯადოსნური საყვირი. № 2, 3.
კაპოთე რ. მ. — თერთმეტი წლის გმირი. № 2.
ლორია ა. — განვლილი ზაფხული. № 2.
ჩაჩანიძე რ. — იზარდე, მწვანე ჯეჯილო! № 2.
იოსელიანი ო. — შურისმაძიებელი კურდღელი. № 3.
რაბი დ. ილიონი — მზისმსმელი ჭაბუკი. № 3.
კლემი პ. — დიდი გატაცება. № 3.
ანტონოვი ს. — შეხვედრა კრემლში. № 4.
გელაშვილი მ. — იმ ზაფხულს № 4; ერთგულება; ზორო მეოთხე სართულზე ცხოვრობს. № 9.
ანდრონიკაშვილი ნ. — სოფელ ენისელთან. № 4; ორი მინიატურა. № 12.
სერაფიმოვიჩი ა. — ბელურების ღამე. № 4.
ბუთხუზი გ. — შველი. № 5.
ჩხეიძე მ. — მყინვარწვერი. № 5.
უსპენსკი გ. — წიგნი. № 5.
ბეზარაშვილი ნ. — პამიდორები, № 5.
ტყებუჩავა დ. — მედუზების სასახლის ზღაპარი. № 5.
ჩახავა მ. — მამა და შვილი. № 6.
ვადაჭკორია დ. — ნახტომი. № 6.
კობერიძე კ. — დანაკარგი. № 6.
ტაბაღუა ზ. — უბეში ჩავარდნილი ნაკვერცხალივით. № 7, 8, 9.
ნოზაძე ბ. — ამოცანა. № 7.
გელოვანი აკ. — იგავ-არაკები. № 7.
ლონდარიძე ნ. — ლამპიონები; რატომ დაიხურეს რკოებმა ქუდები. № 7.
ნამორა ფ. — მედოლე. № 7.
ჭიჭინაძე გ. — ტყეშრიალას სურათები. № 8.
ნარიმანიძე ი. — სტვენია. № 8.
ქალბატონ ტვედლის ოქრო (ინგლისური ხალხური ზღაპარი) № 8.
ჩეკურიშვილი ვ. — ტყუილი. № 9.
ფედოროვი ნ. — ფარული კამერით. № 9.
შოგლინსკაიტე ვ. — კაქტუსი და პელარგონია. № 9.
დუგლაძე თ. — ორი საიდუმლო. № 10.
ბრუნეკი ვ. — კეთილი უჩინმაჩინები. № 10.
აფხაზავა ნ. — იუნგა, ცეცხლი! № 11, 12.
გურასაშვილი ა. — ბეკი. № 11.
თალკე ჰ. — ერთი საფრთხობელას ამბავი. № 11.
ტალიაშვილი ი. — მსხვერპლი. № 12.
ჟუკოვსკი ვ. — მგელბიჭა. № 11.
დობინი ე. — ეპისკოპოსი და კატორღელი. № 12.

## პიონერული ცხოვრება

ბელაშვილი მ. — და გაჩნდა პიონერული ქალაქი. № 1; და აი, კვლავ გვიხმო „ცისკარმა“. № 8.
ბერიძე ჯ., ბერიძე გ. — სიტყვა საქმედ იქცა. № 1.
ვაშაკიძე ზ. — აქ მოსაწყენად არავის სცალია. № 2.
მიროშნიჩენკო ვლ. — იცით, რა ბიჭი იყო? № 2; ცისფერი ოცნების ბილიკებით. № 10.
ფავლენიშვილი ნ. — კვლავაც გამარჯვებით გევლოთ. № 3; კეთილი, ერთგული მეგობარი. № 5; ვზრუნავთ ჩვენს ნორჩ ცვლაზე. № 7.
აფხაზავა ნ. — ახალ სიმაღლეთა დასაპყრობად. № 4; მთელი სულითა და გულით. № 6; ადამიანი შრომით ფასდება. № 9.
ბახტაძე გ. — ოჯახი დიდი, ბედნიერი. № 5.
ცაგარელი თ. — ბანაკის დაუვიწყარი დღეები. № 8; ნეტავი ბევრი ფიქრობდეს ასე. № 12.
ფაილოძე ნ. — ჩვენი ძალა მეგობრობაშია. № 9.
ნორჩ ლენინელთა საკავშირო მარშის პროგრამა. № 10.
ასლამაზიშვილი ვლ. — ნორჩი ბოდბისხეველი მექანიზატორები. № 11.

## წერილები, მოგონებები, ვიქტორინა, სხვა მასალები

ვიქტორინა „მეგობრობა გზად და ხიდად“. № 1, 6, 10.
მარკუშა ა. — შეგიძლიათ აფრინდეთ. № 1.
ჩხარტიშვილი ა. — დავითგარეჯა. № 1.
ხმალაძე ი. — ქანდაკება ცოცხალი მცენარეებით. № 2.
შუდრა ო. — ხასიათი, ნებისყოფა, ყურადღება. № 3.
მგელაძე ნ. — შეგიძლიათ თავი ბედნიერად ჩათვალოთ. № 4.
იაკობაშვილი ა. — მათმა-იოგა. № 4, 5, 7, 8.
თომაძე მ. — სულ აღმართ-აღმართ. № 5.
ბიბილური გ. — გადარჩენილი კალმახი. № 5; ეს საოცარი მინერალები. № 9.
გოცაძე ზ. — დოდო ვადაჭკორია. № 6.
კარგარეთელი მ. — გელით შეხვედრა ახალ ფილმებთან. № 6.
გოზალიშვილი დ. — შენ, მყინვარწვერო მაღალო! № 7.
სიდამონიძე ვ. — პატარა კაზი. № 7.
არაბული ალ. — ქალარა შაშვი. № 7, ჭერო. № 9.
მეგრელიძე ლიდია — 90 № 8.
ცერცვაძე ვ.—საქართველოს პიონერიის მატიანის ფურცლები. № 8.
გოგატიშვილი შ. — რამდენი არაგვია? № 8.
დიდიმამიშვილი ე. — ამაგდარი. № 9.
აბაშიძე გრ. — სამარადისო მეგობრობა. № 10.
ფავლენიშვილი ნ. — მეგობრობის ლამაზი დღესასწაული. № 11.
ალიო მირცხულავა — 80. № 12.
ხარაზიშვილი ნ. — ქვეყნის ავ-კარგი გაღელვებს როცა... № 12.

## განყოფილებები

აისი — № 1-12.
კოცონი — № 1, 2, 3, 4, 5, 6, 8, 11, 12.
ჯადოსნური სარკე — № 1-3, 5-12.
იუმორი — № 1, 2, 3, 5, 7, 8, 10, 12.
გამოცანები — 1, 4, 5. 6, 8, 9.
ცხრაკლიტული — № 1-12.
ახალი წიგნები — № 2, 5, 12.
შენი უცნობი თანატოლები — № 3, 6, 9, 11.
საინტერესო სიახლენი — № 3, 5, 7, 8, 11.
შევკრიბოთ ხალხური საუნჯე — № 3. 12.
მხედრიონი — № 3, 7, 11.
იცნობ თუ არა შენს მშობლიურ მხარეს? — № 8.



## შინაარსი

...და თქვენ აღმოჩნდებით საოცრებათა სამყაროში. რეპორტაჟი . . . . . გარეკ. 2 გვ.
თ. ცაგარელი — ნეტავი ბევრი ფიქრობდეს ასე! (ნარკვევი) . . 1
ნ. აფხაზავა — იუნგა, ცეცხლი! (მოთხრობა, გაგრძელება) . 4
ალიო მირცხულავა — 80 . . . . . 10
ი. ტალიაშვილი — მსხვერპლი (მოთხრობა) . . . 11
ნ. ხარაზიშვილი — ქვეყნის ავ-კარგი გაღელვებს როცა (წერილი) . . . . . 14
მზია ჩხეტიანი — გახსენება (ლექსი) . . . 16
ახალი წიგნები . . . . . 17
აისი . . . . . 18
საქართველოს წითელი წიგნი . . . . . 20
კოცონი . . . . . 21
უცხოური იუმორი . . . . . 22
ე. დოგინი — ეპისკოპოსი და კატორღელი (თარგმნა მ. შავლიაშვილმა) . . . . . 23
შევკრიბოთ ხალხური საუნჯე . . . . . 25
ჯადოსნური სარკე . . . . . 30
ცხრაკლიტული . . . . . გარეკ. 3 გვ.

გარეკანის პირველ გვერდზე ელგუჯა ამაშუკელის „დედა ენა — ცოდნის ზარი“.

მთავარი რედაქტორი გაგულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ნუგზარ აფხაზავა, ზურაბ გოცაძე, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, რობერტ ლარიბაშვილი, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი (პ/მგ. მდივანი), ლიანა შეწირული, ზურაბ წვერიკმაზაშვილი, ზურაბ ჟუჟბურიძე.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, ლენინის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-31-81, პ. მგ. მდივნის—93-97-03, 93-53-05, განყოფილებების—93-97-02, 93-97-01 გადაეცა ასაწყობად 24.09.83 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.12.83 წ., ქაღალდის ფორმატი $60 \times 90^{1}/_{3}$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35, შეკვ. 2476. ტირაჟი 152500 ეგზ. უე 04071.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников. Выходит один раз в месяц на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат $60 \times 90^{1}/_{3}$, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35.
Тираж 152.500 экз. Цена 20 коп.

© „პიონერი“, 1983 წ.

# კროსვორდი

თარაზულად: 1. პირის ნაცვალსახელი; 2. შორისდებული, რომელსაც ხმარობენ ტელეფონით ლაპარაკისას; 3. კენკროვანი ბუჩქი; 5. წელიწადის თვე; 6. ნივთების ან ფულის გათამაშება ბილეთებით; 7. რაიონული ცენტრი საქართველოში; 11. კადრაკის ფიგურა; 12. რისამე განხორციელების (შესრულების) სისწრაფე; 14. ქალაქი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, მდინარე ვაალზე. 15. მთავარი არტერია, რომელიც გამოდის გულის მარცხენა პარკუჭიდან; 17. რაიმე მოქმედების, საქმიანობის შეთანხმება; 22. მხარე, მიდამო, ადგილი; 24. ფიჭის უჯრედში დაგროვილი ყვავილის მტვერი; 25. დედნის პირი; 26. წვრილად დაჭრილი ხორცისაგან და ბოსტნეულისაგან დამზადებული კერძი; 27. ერთგვარი ხის სოკო; 29. გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი; 30. გემზე ალმართული მაღალი ძელი; 31. ცალპირზე ალესილი თხელი ფოლადის იარაღი.

შვეულად: 3. სოკოს სახეობა; 4. ინგლისური სიგრძის საზომი ერთეული; 7. მეცხრამეტე საუკუნის რუსი კომპოზიტორი; 8. გზა, რომელზეც გადის ტრანსპორტი; 9. ბალახოვანი დეკორატიული მცენარე; 10. უწყინარი დაცინვა; 11. რაიმე მოქმედების განზრახ გამოწვევა; 13. სახელმწიფო ევროპაში; 16. მუსიკალური ნაწარმოების შექმნა, შეთხზვა; 18. რისამე განხორციელება, ასრულება; 19. დარიგება, სახელმძღვანელო მითითებანი; 20. სითხის ან აირის წრიული მოძრაობა, მიმოქცევა; 21. ქსოვილის კიდეებზე მოვლებული ნაირსახიანი ზოლი; 23. მთავრობის, სახელმწიფოს მეთაურის ან სხვა მაღალი თანამდებობის პირის ადგილსამყოფელი; 28. ყურით ალსაქმელი ტალღისებური რხევა ჰაერისა.



შეადგინა ალ. გორგიშვილმა



სასწაული ვიხილე:
დილით დასადამოვდა,
თაგვი, მელა, კურდღელი
სოროსაკენ გარბოდა.
თვალგაფართოებული
ჩუმად ვიდექ ჩინართან.
უცებ, ღმერთო, რას ვხედავ —
ჩრდილიც გაუჩინარდა!
აეფარა ნათელ მზეს
ღამისფერი ლაქა და
შეშინებულს მეგონა —
ყველაფერი გათავდა!..
მაგრამ მალე ინათა,
დილა დადგა ცინცხალი...
გამოიცნობს, რაც მოხდა,
გამჭრიახი ვინც არი.

წვიმს...
და გაოცება
როგორ დავიოკო:
მოჰფენია ასფალტს
უთვალავი სოკო.

მზეა...
ქუჩაში კი
კვლავ სოკოებს ვხედავ.
ამ თაკარა მზეში
რა ამრავლებს, ნეტავ?

თეთრი, რუხი, ჭრელი,
ასი, მილიონი...
რა სოკოზეც ვამბობ,
უკვე მიხვდი, მგონი!

ნ. მარიხია

## ამოცანები

— ბევრი და-ძმა გყავს, ბიჭუნა? —
ჰკითხა ნაცნობმა ჭურხას.
— ორივე თანასწორადო, —
დაუზუსტებლად უთხრა, —
ოღონდ ჩემს დას კი ძმია
ჰყავს დებზე ორჯერ მეტი.
რამდენი და-ძმა ჰყოლია
რომელი უმალ მეტყვის?

ამ სამეული ციფრის
0-ის, 2-ის და 3-ის,
ნეტავი უფრო მეტი
ნამრავლია თუ ჯამი?

შ. ამირანაშვილი

## გამოცანები

გაიქროლა ვერცხლის გედმა
და მაღალი ლურჯი ციდან
უცაბედად უამრავი
თეთრი ქოლგა ჩამოცვივდა.

მიმოფანტა ვერცხლის ჩიტმა,
მზეს და ნიავს მიანება...
მიწაზე კი ის ქოლგები
იქცნენ ადამიანებად.

მომიტრიალდა ციკლოპი
და თვალი შემომაშუქა,
სწრაფად დამხატა უფუნჯოდ
და ის ნახატი მაჩუქა.

მეზობლად ცხოვრობს
სპორტსმენი,
მოცურავე და მხტომელი.
მასავით მარჯვე ვინა ხართ?
შეეჯიბრებით რომელი?
მარდია, როგორც კატა და
უმახვილესი თვალი აქვს,
თან მთელ ამ არემარეში
ცნობილი მომღერალია.

ცისკენ მივყვები ბილიკებს,
ალმა შვეულად შეფენილს,
ჩემი უფრთო და უკუდო,
უპროპელერო ვერტმფრენით.

## პასუხი 1983 წ. № 11-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე"

თავსატეხი

მასწავლებელი —
დედის გულივით
მუდამ კეთილი,
მუდამ ნეტარი.
მასწავლებელი —
ბავშვის სურვილი:
„მასწავლებელი
გავხდე ნეტავი!"

გამოცანები

ცელი, რვაფეხა, ჩრდილი, სავარცხელი, ციყვი, კომბაინი.

ინდექსი 76157
ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საშინაო დავალება




მხატვარი თ. კოზაევი